ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 8 იანვარი, 2013 | №5 (6006) | ფასი: 30 თეთრი

## პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

გვ.5



# ირაკლი ალასანია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება?

გვ.3



## 1 ივლისიდან საქართველოში მშობიარობა უფასო იქნება

გვ.2





## პროკურატურამ ოქრუაშვილის წინააღმდეგ ერთ-ერთი საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო

გვ.2

## სააკაშვილის მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვება დაიწყო

გვ.3

მიხეილ სააკაშვილი: „ახალმა მთავრობამ საქართველოს ათობით ათას მოქალაქეს სამუშაო დააკარგვინა“

გვ.2





## თემურ შაშიაშვილი: „20 იანვარს ვდებთ დოკუმენტებს, რომ ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს“

გვ.4

## ქართულ პროსტიტუციულ ბაზარზე არაქართველთა პროცენტული წილი იზრდება

გვ.2



## ლადო ბედუკაძე არჩილ კბილაშვილს მიმართავს

გვ.3

რას ითხოვს ციხის სკანდალის ავტორი

## ვინ გახდება გაეროში საქართველოს ელჩი

გვ.6



## საშობაო ალილო გამორჩეულად ალინიშნა

გვ.12



9 771987 938006

**4** ბიძინა ივანიშვილი: „მჯერა, რომ ყველანი ერთად, ახალი შემართებით ავაშენებთ ჩვენს საოცნებო საქართველოს“

**6** ბადრი ბიწაძის მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყდება

**2** სოზარ სუბარმა და პაატა ბურჭულაძემ ქსნის №15 დაწესებულების მსჯავრდებულები მოინახულეს

**6** 9 იანვარს საქართველოს მასშტაბით მოთოვს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ქართულ პროსტიტუციულ ბაზარზე არაქართველთა პროცენტული წილი იზრდება

როლანდ ხოჯანაშვილი
*„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო*

პროსტიტუცია რომ უძველესი პროფესიაა, ამის შეხსენება არავის სჭირდება. მოსახლეობის მატებასთან ერთად პროსტიტუციის მიმდევართა რაოდენობაც იზრდება, რადგან სამომხმარებლო ბაზარზე მოთხოვნა იზრდება. ძალიან დიდი რისკების შემცველი ეს პროფესია იცვლის მასშტაბებს, შინაარსსა და ფორმებს.

შინაარსობრივად თავისთავად მოიცავს სიტყვა პროსტიტუცია შეურაცხმყოფელ ელფერს (ლათინური სიტყვაა და შერცხვენას, წაბილწვას ნიშნავს). სამწუხაროა, რომ პროსტიტუციას მისდევენ ძირითადად ეკონომიკურად შეჭირვებული ადამიანები. მართალია, რომ გაჭირვებული ბევრია, მაგრამ ყველა არ ადგება ამ გზას, თუმცა გარდა ელიტარული ,,პროსტიტუტკებისა“ თვლიან, რომ გადაჭარბებული ეროტიზმისა, მატერიალური მდგომარეობა ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია ადამიანის სხეულით ვაჭრობისა.

საქართველოს ურბანულ ნაწილში პროსტიტუცია არავის უკვირს, მაგრამ ქართულ პროსტიტუციულ ბაზარზე არაქართველთა პროცენტული წილის ზრდამ დიდ მასშტაბებს მიაღწია. ბუნებრივია, ზნეობრივი თვალსაზრისით, არც ქართველების მხრიდანაა მოსაწონი, მაგრამ საქართველოში უცხოელი სექსმუშაკთა გამოჩენა ერთ ფაქტს წარმოაჩენს: საქართველოში ტრეფიკინგის მძიმე ფორმები ფიქსირდება! შუააზიელი და აღმოსავლეთ აზიიდან ჩამოყვანილი ქალებით დაკომპლექტებული სექსბაზარი ძირითადად მშობლებსა და ქართველ მეძავებს აღიზიანებს. გონიოსა და თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე, აღმოჩენილი საროსკიპოები მშობლებს რატომ გააღიზიანებთ, ეს ძნელი ამოსაცნობი არაა, მაგრამ ქართველი მეძავები კონკურენტულ გარემოს ვერ იტანენ. ბორდელში დასაქმებული უცხოელები მომსახურე პერსონალი ბევრად უფრო დახვეწილი სპეციალისტები არიან და ქართველების ერთი ძალიან ცნობილი თვისება გახლავთ ის, რომ ,,იმპორტული“ წარმოება ბევრად უფრო მოსწონთ, ვიდრე –ადგილობრივი.

პროსტიტუციის ისტორია იცნობს მეძავეობის მრავალ სახეს ( ქუჩის, საროსკიპოს, საეროს და თქვენ წარმოიდგინეთ, საოჯახო-სატაძროსაც). ბევრმა ქვეყანამ მოახერხა პროსტიტუციის კანონმდებლობის ფარგლებში მოქცევა (გერმანია, ნიდერლანდები) და ამით ძირითადად დაცულია როგორც სექსმუშაკები, ასევე მომხმარებლებიც. ნიდერლანდებში სპეციალური კურსები და სასწავლებლებიც არსებობს იმისათვის, თუ როგორ მოახერხონ სექსუალური ხელოვნების დახვეწა. აღმოსავლური სწავლებანი ამავე მიმართულებით კიდევ საუკუნეებს რომ მოითვლის, ესეც არ ახალია.

როცა საქართველოში საუბრობენ პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე, ძალიან ბევრი ადამიანი ქრისტიანულ მორალს მოიხმობს და ამბობენ, რომ ეს ქრისტიანული თვალსაზრისით მიუღებელია. მაშინ სხვაგვარად დავსვათ კითხვა, საეკლესიო მორალი არალეგალურ პროსტიტუციას მისაღებად თვლის? მით უფრო, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა, რომლებმაც პროსტიტუციის ლეგალიზაციის კანონი მიიღეს, ქრისტიანული სარწმუნოების მაღიარებლები არ არიან?! ბევრად უფრო მკაცრი შეხედულებები არსებობს იუდაისტურ და მაჰმადიანურ ქვეყნებში, მაგრამ პროსტიტუცია არსებობს ყველგან, სადაც არსებობენ ადამიანები. აქვე გავიხსენოთ ქრისტეს სიტყვები, როცა მასთან მეძავი ქალი მიიყვანეს განსასჯელად: პირველი ქვა მან ესროლოს მეძავს, რომელიც უცოდველიაო. ნამდვილად მიჭირს იმის დაჯერება, რომ ადამიანს ცხოვრების მანძილზე ფიქრსა და გულისხმისყოფაში ერთხელ მაინც არ შეეცოდოს.



ვთქვათ და მიიღო სახელმწიფომ პროსტიტუციის ლეგალიზაციის შესახებ კანონი, მაგრამ საზოგადოება და თავად მეძავები დასთანხმდებიან თავიანთი საქმიანობის ლეგალიზებას? საზოგადოება დღესაც ასე თუ ისე იტანს ბორდელების არსებობას, მაგრამ პროტესტს მაინც ხშირად გამოთქვამენ. ქართული მენტალობიდან გამომდინარე, არც მეძავებს ექნებათ დიდი სურვილი, რომ შრომის წიგნაკი ჰქონდეთ გახსნილი, სადაც ჩაწერილი იქნება, რომ სექსმუშაკია! სოციალურ ქსელებში ახვლედიანის ქუჩის საროსკიპოების თემის წამოწევამ მეტი ინფორმაცია გააჟღერა. თავად არ გადამიმოწმებია, მაგრამ ღიად წერდნენ იმაზე, რომ ხაშურის ტერიტორიაზე არსებობს საროსკიპო თურქებისათვის და ეს ტერიტორია იჯარით აქვს გაცემული ხაშურის მაჟორიტარ ვალერი გელაშვილსო. შავიზღვისპირა ზოლში ძირითადად გონიოზე საუბრობენ, თუმცა ზაფხულის პერიოდში აჭარაში საკმაოდ ბევრ ,,უზკაგლაზკებს“ გადააწყდებით, რომელთა ძირითადი საქმიანობა მეძავეობაა. თბილისისა და დიდი ქალაქების საუნებისა და აბანოების მომსახურე პერსონალიც იგივე საქმიანობით არის დაკავებული.

მახსენდება სტუდენტობისდროინდელი შემთხვევა. ნათესავმა დამპატიჟა და ქუთაისის ცენტრალური ნაწილიდან ერთი ღამით მომიწია ნიკეას დასახლებაში დარჩენამ. ჩემი ახლობელი ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა, ხოლო მისი მეზობლები ორ და სამოთახიან ბინებში. სამოთახიანის მეპატრონის შვილიშვილი ჩემი ნათესავის ხელმძღვანელობით ისტორიაში ემზადებოდა და დედამისმა მოაკითხა ბავშვს. ახალგაზრდა და ლამაზი ქალი იყო. ნათესავმა გამაცნო და იქვე დაამატა, რომ ქვრივია, ბავშვს პატიოსანი შრომით არჩენსო. მერე ჩაიცინეს და უჩვეულო კალამბურები გადაჰკრეს ოროთახიანი ბინის მკვიდრებს: ამაღამ ის საწყალი კარი იმედია,არ ჩამოვარდებაო. რამდენიმე საათის შემდეგ კალამბურის შინაარს ადვილად ჩავწვდი. რკინის კარის ჯახაჯუხი მთელი ღამე ისმოდა და ხუთსულიანი ოჯახის სამი წევრის კრუსუნისა და მამაკაცების ხვიხვინის ხმაც ხშირად აღწევდა სადარბაზოს გადმოღმაც. სასიამოვნო ნამდვილად არავისთვის არაა, როცა მეზობლად ასეთი ორგიები იმართება, მაგრამ გაგებით ეკიდებოდნენ მეზობლები, რადგან მეოცე საუკუნის 90-იანი წლები იდგა... რამდენიმე თვის შემდეგ მომიწია ისევ ,,ნიკეაზე“ რამდენიმე საათით მისვლამ, ის ქვრივი ქალიც კვლავ შემხვდა და მეუცნაურა მისი გარეგნობა! ნათესავს ჩუმად დავეკითხე, თუ რა მოხდა ამ რამდენიმე თვეში, ეს ქალი ასე რამ შეცვალა-მეთქი? პასუხი მარტივი და ადვილადგასაგები იყო: ქვრივმა ქალმა თურქეთში ,,ჰოტელში“ დაიწყო მუშაობაო! რამდენიმე თვის შემდეგ ეს ქალი გაბრტყელებული მომეჩვენა თუ ნამდვილად იყო გაბრტყელებული, ვერ გეტყვით! სამი წლის შემდეგ შემთხვევით შეხვედრილ ნათესავს მეზობლებზე დავეკითხე, თუ როგორ იყვნენ და ქვრივი ქალი თურქეთში გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილიყო...

სასაცილოც არის და სატირალიც ის ანეკდოტი, რომელიც თურქეთის საზღვრის გახსნისთანავე ,,გამოაცხეს“ ქუთაისის ბაღისკიდელებმა:

სტამბოლში რძალ-დედამთილმა ლითონის ათასგვარი ხარახურა წაიღეს და როცა ხელი გაიცალეს, ერთი ულვაშა თურქი მიუახლოვდათ.

– დედაჩემი გურჯი ხანუმი იყო წარმოშობით და ახლა გარდაიცვალა, მინდა ქართველმა ხანუმებმა ქართულად დამიტიროთ, მერე 50-50 დოლარს გადაგიხდით და თავისუფლები იქნებითო.

გასაცოდავებულმა რძალ-დედამთილმა სწრაფად გაანალიზეს თავიანთი ისედაც სატირალი მდგომარეობა და შეთანხმდნენ, რომ ერთ გამოტირებაში 100 დოლარი კარგი ანაზღაურება იქნებოდა.

თურქმა სახლში წაიყვანა ორივე, მერე დედამთილი მამის ოთახში შეაგდო და თავად რძალი ,,დაითრია“. ცოტა ხნის შემდეგ შეურაცხყოფილი რძალი გაწითლებული და ცრემლმომდგარი დედამთილს დაევედრა: ჩემს ქმარს არაფერი უთხრაო... დედამთილმა არხეინად უთხრა: რას ამბობ, ქალო, მე აქ ორმოცზეც უნდა ჩამოვიდეო...

ანაზღაურების აღებისათვის თბილისის ცენტრალურ უბნებში არატრადიციულ მეძავებსაც ამოიცნობ. არც ისე დიდი ხნის წინ ერთ რესტორანში ქართველი ყმაწვილი ხანდაზმულ ევროპელ მამაკაცს ელაციცებოდა! ტარიფები ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ სახემიქიშმიშებულ ევროპელს რომ მარტო სქესობრივი ლტოლვის გამო არ გაუთბობდა საწოლს, ეს ცხადი იყო.

ფეისბუქზე კარგა ხნის წინ ერთმა სტუდენტმა მომწერა, საკურსო ნაშრომს ვაკეთებ და თქვენი, როგორც საზოგადოების წევრის, აზრი მაინტერესებს, უზნეობად ითვლება თუ არა სექსუალური მომსახურებისათვის ანაზღაურების აღებაო. ლიბერალური პასუხით გავისტუმრე: ყველა ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხლებელია-მეთქი.

და ბოლოს, რომ მოხდეს პროსტიტუციის ლეგალიზაციის შესახებ კანონის მიღება, ლეგალ და არალეგალ მეძავებს შორის ალბათ იგივე კონფლიქტს უნდა ველოდოთ, როგორიც მოვაჭრეებსა და გარემოვაჭრეებს შორისაა? ბევრისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანი მწვანილს ჰყიდის ადამიანი თუ სხეულს, კონკურენცია დაუნდობელია!

## სოზარ სუბარმა და პაატა ბურჭულაძემ ქსნის №15 დაწესებულების მსჯავრდებულები მოინახულეს

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა და ფონდის ,,ივერიისა“ დამფუძნებელმა პაატა ბურჭულაძემ შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ქსნის №15 დაწესებულების მსჯავრდებულები მოინახულეს. ნაჩვენები



იქნა ოთარ ლითანიშვილის დოკუმენტური ფილმი „ღირს არს ჭეშმარიტად“, რომელიც ათონის მთაზე და ივერიის ღვთისმშობლის ხატის შესახებ გვიამბობს. ფილმის ნახვის შემდეგ პაატა ბურჭულაძე მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის შესახებ პატიმრებს გაესაუბრა. მსჯავრდებულებს საჩუქრად გადაეცათ ხატები და ლოცვანი. დაურიგდათ სპეციალური ანკეტები, სურვილის შემთხვევაში, მათ ანკეტის შევსება და ფონდში ,,ივერიისა“ გაწევრიანება შეეძლებათ.

**პირველი**

## პროკურატურამ ოქრუაშვილის წინააღმდეგ ერთ-ერთი საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო

პროკურატურამ თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ ერთ-ერთი საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ ,,პირველს“ ოქრუაშვილის ადვოკატმა ზვიად კორძაძემ განუცხადა. კორძაძის თქმით, საუბარია ძიებაში მყოფ საქმეზე, რომელიც ფულის გათეთრებას ეხება. აღნიშნულ საქმეზე სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა ადვოკატმა 5 იანვარს მოითხოვა.

**პირველი**

## მიხეილ სააკაშვილი: ,,ახალმა მთავრობამ საქართველოს ათობით ათას მოქალაქეს სამუშაო დააკარგვინა“

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ახალმა მთავრობამ საქართველოს ათობით ათას მოქალაქეს სამუშაო დააკარგვინა.

ამის შესახებ სააკაშვილმა პრეზიდენტის რეზიდენციაში ჟურნალისტებს განუცხადა და მათ სასტუმროს მაკეტი წარუდგინა, რომელიც თბილისის ცენტრში უნდა აშენებულიყო, თუმცა მშენებლობა შეჩერდა.



,,რა თქმა უნდა, დღეს ყველას გვაქვს საშობაო განწყობა და ეს ასეც უნდა იყოს. თუმცა არავის არ მინდა, ვაწყენინო, მაგრამ მინდა, საქმეზეც ვისაუბრო, იმ სადარდებელზე, რომელიც თუნდაც ბოლო დღეეებში გავიგე. ვიყავი არაბთა გაერთიანებულ საამიროში, საიდანაც გუშინ ჩამოვედი. იცით, რომ აქ რიყეზე და საერთოდ, თბილისში შენდება ძალიან ლამაზი შენობები, როცა ვუყურებ იმ ქვეყანას [არაბთა გაერთიანებული საემიროები] როგორ არის აშენებული, ყოველთვის მინდოდა, ისეთივე გრანდიოზული, ლამაზი, განვითარებული ყოფილიყო საქართველო და ჩვენ ვიყავით მისული იმ ზღვარს, რომლის იქეთ, ასეთი განვითარება იწყებოდა. ეს სასტუმრო 40-სართულიანი უნდა ყოფილიყო, უნდა აშენებულიყო თბილისის ცენტრში და დაასაქმებდა 20 000 ჩვენს მოქალაქეს. ეს იყო უცხოელი ინვესტირების გასაკეთებელი, თუმცა გუშინწინ საამიროებში მითხრეს, რომ საქართველოს ახალმა მთავრობამ ამ სასტუმროს პროექტი შეაჩერა. ე.ი. 20 000 ადამიანი სამუშაო ადგილის გარეშე დატოვეს სრულიად აბსურდული გამოგონილი საბაბით. გარდა ამისა, 1 იანვარს ხობის წყალზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო, სამწუხაროდ, შევიტყე, რომ ეს პროექტიც გაჩერდა. ასევე შეჩერებულია თბილისის აეროპორტში ახალი ასაფრენი ზოლის მშენებლობა, რაც რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ. თუ ეს არ გაკეთდება საქართველო დაკარგავს ასობით ათას ტურისტს, ე.ი. შემოსავალს ჩვენი თანამოქალაქეებისთვის. ხობის წყლაზე ჰიდროელექტროსადგური დამატებით 10 000 სამუშაო ადგილს შექმნიდა. ერთი სიტყვით, ახალი წლის პირველ დღეებში შევიტყვე, რომ რამდენიმე ათეულ ათას ჩვენს მოქალაქეს დააკარგინეს სამუშაო“, – განაცხადა სააკაშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ ეს არ არის, ალმშენებლობის შეჩერებისა და ნგრევის შეგნებული პოლიტიკა. მან ასევე აღნიშნა, რომ ახალი მშენებლობების ნაცვლად რიყის პროექტსაც დანგრევით ემუქრებიან.

,,ქვეყანა აუცილებლად წავა წინ და მინდა, ვისურვო, რომ ეს ყველაფერი დროებითი გაუგებრობა აღმოჩნდეს და ხალხი შემდეგ ახალ წელს, კიდევ უფრო კმაყოფილი, ბევრად უფრო იმედიანი და მომავალში დარწმუნებული იყოს. მინდა, ვისურვო, რომ საქართველოს მთავრობამ ეს ყველაფერი გააკეთოს, ნამდვილად არ მინდა ჩაფლავდნენ, უბრალოდ გვსურს, რომ ასეთი რამეები არ ხდებოდეს“, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

**პირველი**

## 1 ივლისიდან საქართველოში მშობიარობა უფასო იქნება

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი ხუნდაძის თქმით, 1 ივლისიდან საქართველოში მშობიარობა უფასო იქნება.



ამის შესახებ ხუნდაძემ საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო ცენტრში სტუმრობისას განაცხადა, სადაც შობის ღამეს დაბადებული ახალშობილები მოინახულა.

,,პარლამენტმა ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტი შემოიტანა, სადაც ჯანდაცვის ბიუჯეტი გაორმაგებულია. აქამდე იყო 450 მლნ ლარი, ჩვენ კი ეს 800 მლნ ლარამდე გავზარდეთ. ეს არის სერიოზული განაცხადი. ჩვენ ვემზადებით, რომ შემოვიტანოთ ერთიანი საზღვევო ფონდი. ეს ნიშნავს, რომ თითოეული პაციენტი იქნება გარანტირებული და სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას თითოეული მოქალაქის მიმართ. სიახლე არის ასევე ის, რომ 1 ივლისიდან მშობიარობა იქნება საერთოდ უფასო. ასევე გეტყვით სიახლეს, რომ გაიზარდა შემწეობები სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. ოჯახის პირველი წევრისთვის ეს იყო 30 ლარი, ხოლო ყოველი შემდგომი წევრისთვის – 24 ლარი. 1 ივლისისთვის ეს თანხა ოჯახის პირველი წევრისთვის გაიზრდება 50 ლარამდე, ხოლო ყოველი შემდეგისთვის შემწეობა 40 ლარი იქნება“, – განაცხადა ხუნდაძემ.

**პირველი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილის მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვება დაიწყო

შორენა მარსაგიშვილი

საქართველო ნამდვილად დემოკრატიული ქვეყანა რომ იყოს, მისი პრეზიდენტი 20 იანვარს ქუდს დაიხურავდა და წავიდოდა. სწორედ ამ დღეს იწურება მისი საპრეზიდენტო ვადა. მიხეილ სააკაშვილს, მართალია, დემოკრატიის შუქურობაზე აქვს პრეტენზია, მაგრამ არსადაც არ მიდის. წასვლა რომ სდომებოდა, თავის დროზე 10 თვით არ გაიხანგრძლივებდა უფლებამოსილებას.



საპარლამენტო არჩევნები სხვაგვარად რომ დასრულებულიყო, სააკაშვილის გაგრძელებულ ვადაზე ხმას არავინ ამოიღებდა. მაგრამ ქვეყანაში ახლა სხვანაირი სიო უბერავს და რადგან ასეა, დაიწყო მისი გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება.

ამ ეტაპისთვის თითქმის 900 ათასი ხელმოწერაა შეგროვებული. ხელმოწერებს მოძრაობა „ერთსულოვნება" აგროვებს. მათ იმედი აქვთ, რომ 20 იანვრამდე მილიონამდე ხელმოწერას შეაგროვებენ.

ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს სააკაშვილის ფანებმაც. ფეისბუქზე გამოქვეყნდა პეტიცია. ამ პეტიციას მოძრაობა „პატრიოტები" ავრცელებს. პეტიცია 6 იანვრის საღამოს გავრცელდა.

– ჩვენ ვიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად. მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, 2013 წლის ოქტომბრის ჩათვლით არის საქართველოს კონსტიტუციურად არჩეული პრეზიდენტი და მისი ლეგიტიმაციის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება არის ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკონსტიტუციური ქმედება, ასევე უპატივცემულობაა საქართველოს მოსახლეობის იმ დიდი ნაწილის მიმართ, რომელმაც მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად აირჩია! ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის ადამიანები, რომლებიც ითხოვენ საქართველოს პრეზიდენტის გადადგომას, აყენებენ პირდაპირ ზიანს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას და ფეხქვეშ თელავენ საქართველოს კონსტიტუციას. აქედან გამომდინარე, დავიწყეთ საქართველოს იმ მოქალაქეთა ხელმოწერების შეგროვება, რომელთათვის კონსტიტუცია და კანონი არის უმთავრესი პრინციპი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობისთვის და რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახელმწიფოს მეთაურად ყოფნას მისი კონსტიტუციით დადგენილი ვადის ამოწურვამდე (2013 წლის ოქტომბერი)! გვინდა, ყველასთვის ნათელი იყოს, რომ მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს, არ არის უფლებამოსილი, პრეზიდენტის ლეგიტიმაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს და რომ ისინი არ წარმოადგენენ მთელი საქართველოს მოსახლეობას, – ვკითხულობთ პეტიციაში.

„პატრიოტების" განცხადებით, პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება 20 იანვრამდე გაგრძელდება. 20 იანვარს წყვეტენ ხელმოწერების შეგროვებას სააკაშვილის მოწინააღმდეგეებიც. ვნახოთ, ვინ უფრო მეტ ხელმოწერას მოაგროვებს.

# ირაკლი ალასანია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება?

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალების მიერ მრავალგზის შეცვლილი კონსტიტუციის თანახმად, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ოქტომბერში ჩატარდება. საქართველოში ამბიციური ხალხი ცხოვრობს და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ალბათ ბევრს გაუჩნდება.

მთავარი ბრძოლა კი „ქართული ოცნებისა" და ნაციონალების კანდიდატს შორის გაიმართება. არჩევნებამდე 9 თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი, მაგრამ, წესით, გამოკვეთილი უნდა იყოს საპრეზიდენტო კანდიდატები. არც მეოცნებეები და არც ნაცმოძელები საკუთარი ფალავნების დასახელებას არ ჩქარობენ.

ერთხელ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტობისთვის იდეალური კანდიდატი ვახტანგ ხმალაძე იქნებოდა. ამასთან, მეოცნებეები არ ადასტურებენ, რომ ხმალაძე იქნება მათი კანდიდატი. არჩევანი სხვა კანდიდატზე შეჩერდება.

არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ეს ირაკლი ალასანია იქნება. ალასანიას კანდიდატურა ბევრისთვის არის მისაღები. ამბობენ, რომ ამერიკა სწორედ მასზე აკეთებს არჩევანს. ის მისაღებია რუსეთისთვისაც.

ალასანიას საპრეზიდენტო შანსებზე 2008 წლის ბოლოდან ალაპარაკდნენ. სწორედ ამ პერიოდში დატოვა მან გაეროში საქართველოს ელჩის თანამდებობა და ოპოზიციაში გადავიდა.

მის ამ გადაწყვეტილებას საქართველოში დიდი ამბები მოჰყვა. მის გაოპოზიციონერებას თითქმის იგივე ეფექტი მოჰყვა, რაც ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას პოლიტიკაში.

არჩევნებში მან ძალები 2010 წელსაც მოსინჯა. იმ წელს თბილისის მერი ავირჩიეთ. ალასანია მერობაზე იყრიდა კენჭს. ის არჩევნები გიგი უგულავამ მოიგო. ნაცმოძი მაშინ ხითხითებდა, ალასანიამ მერის არჩევნები ვერ მოიგო და საპრეზიდენტოს როგორ მოიგებსო.

როგორ ჩატარდა ის არჩევნები, ყველას გვახსოვს. ყველაფერი რომ წესრიგში ყოფილიყო, საეჭვოა, თვითმმართველობის არჩევნებში ნაცმოძს გაემარჯვა. სხვათა შორის, ევროპელები ქართველთა არჩევანით გაკვირვებული იყვნენ. თვითმმართველობის არჩევნები აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსთვის პირველი იყო. ალბათ არც ერთი ევროპული ქვეყანა არ მისცემდა ხმას იმ ძალას, რომელმაც ომი წააგო. საქართველოში კი ყველაფერი ხდება.

ალასანია ახლა თავდაცვის მინისტრია. ის შეიარაღებულ ძალებში სიმპათიით სარგებლობს. და ჯარი ალბათ კმაყოფილი იქნება, თუ ის მათი მთავარსარდალი გახდება. ამისათვის ალასანიამ არჩევნები უნდა მოიგოს. ამასთან, ის მეოცნებეებმაც უნდა დააყენონ კანდიდატად.

სხვათა შორის, ამბობენ, რომ უკვე დაწყებულია თავდაცვის ახალი მინისტრის მოძიება. ერთ-ერთი ვერსიით, ალასანიას ამ პოსტზე ვლადიმერ ჩაჩიბაია შეცვლის. ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ დაინიშნა გაერთიანებული შტაბების უფროსის მოადგილედ.



ხმები ალასანიას პრეზიდენტობის კანდიდატობაზე ამ დღეებში კიდევ უფრო აქტუალური გახდა. მან გამოცემა „კვირის პალიტრას" საინტერესო ინტერვიუ მისცა.

ჟურნალისტის კითხვაზე, ხომ არ იქნება ის კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატი, ალასანიამ განაცხადა, რომ გამორიცხული არაფერია.

– გამორიცხული არაფერია. დარწმუნებული ვარ, კარგი კანდიდატი გვეყოლება, რომელსაც გამარჯვების დიდი ამბიცია ექნება. ვინ იქნება კანდიდატი, კოალიცია უახლოეს თვეებში გადაწყვეტს, – განაცხადა ალასანიამ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძის განცხადებით, კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს პრეზიდენტობის კანდიდატთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს.

– ჩემი ინფორმაციით, პოლიტსაბჭოს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა ამისთვის ძალიან ბევრი დროა წინ. ალბათ, ამ საკითხზე ვიმსჯელებთ და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნება მიღებული. რაც შეეხება ვახტანგ ხმალაძეს, რომელიც პრემიერმა არაერთხელ ახსენა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია და მე მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, – განაცხადა კობახიძემ.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მეოცნებეები არჩევანს ალასანიასა და ხმალაძეს შორის გააკეთებენ. თუმცა, როგორც „ოცნებაში" ამბობენ, გამორიცხული არაფერია.

საზოგადოება ასევე დიდი ინტერესით ელოდება ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატს. პრეზიდენტობის სურვილი დიდი ხანია აწვალებს თურმე გიგი უგულავას. თავის დროზე ნაციონალები სწორედ მას მოიაზრებდნენ საპრეზიდენტო კანდიდატად. 1 ოქტომბერს არჩევნები მეოცნებეებს რომ არ მოეგოთ, ალბათ ნაცმოძი იოლად შეარჩევდა კანდიდატს.

ახლა კი ისინი სხვა რეალობის წინაშე დგანან. ნაციონალებმა ცოტა უფრო ძლიერი ფალავანი უნდა შეარჩიონ. ამ პოსტზე ვანო მერაბიშვილიც მოიაზრება. კანდიდატის შესარჩევად ამათაც კარგი ჯაფა დაადგებათ.

წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები ალბათ ძალიან საინტერესო იქნება. ნაციონალები 2004 წლის მსგავსად იოლად ვეღარ მოიპოვებენ სასურველ პოსტს.

ამ არჩევნებში სხვა კანდიდატებიც მიიღებენ მონაწილეობას. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ცდის ბედს როინ ლიპარტელიანი. შალვა ნათელაშვილსა და გიორგი თარგამაძესაც შესაძლოა მოუნდეთ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმა.

არჩევნებამდე 9 თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი. ამ დროს მანძილზე კიდევ ბევრი რამ დალაგდება და კანდიდატებიც ამის მიხედვით გამოჩნდებიან.

ნაციონალები ამტკიცებენ, რომ ისინი უკვე ენატრებიან ხალხს. მოენატრნენ თუ არა, ამას მომავალი გვაჩვენებს. ისე, ამბობენ, რომ ნაცმოძს მეოცნებეების ჩასაძირად რამდენიმე გეგმა აქვთ მოფიქრებული.

# ლადო ბედუკაძე არჩილ კბილაშვილს მიმართავს

შორენა მარსაგიშვილი

ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ შოკშია ციხის სკანდალური კადრების გამო. ამ კადრების გავრცელებით ლადო ბედუკაძემ თავი საფრთხეში ჩაიგდო. ამ კადრებმა არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ამ მოვლენების მთავარი გმირი, ბედუკაძე, საქართველოში ბრუნდება, თუმცა მანამდე მთავარი პროკურორის სახელზე მიმართვას ავრცელებს.

მიმართვა ბედუკაძემ სოციალური ქსელებით გაავრცელა. ის თავისი თანამოაზრეების გათავისუფლებას ითხოვს.

– საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც 9 წელი მკვლელი, ნარკომომხმარებელი და შიზოფრენიკი თვითმარქვია პრეზიდენტი უდგას სათავეში, გმირები კი ციხეში ჰყავდა და ჰყავს გამოკეტილი! ხმამაღლა ვაცხადებ და მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურორს, ბატონ არჩილ კბილაშვილს – ბორის ფარულავა (მეტსახელად ბასტი) ჩვენი დროის გმირია, ჩვენი გმირია!!! თუმცა, უბედურებაა ისაა, რომ ამ სიტყვებმაც თავისი ფასი, ელფერი და ეშხი დაკარგა ჩვენივე სათაყვანებელი „პრეზიდენტის" წყალობით. ბედის ირონია და სატანის დაცინვაა, რასაც ებრძვი და რისთვისაც იბრძვი, სწორედ იმ კუთხით და იმ მიმართულებით, იმავე იარაღით გიტევს ბოროტი! პატიმართა გარდაცვალების, ცემის, წამების, გაუპატიურების შეწყვეტისთვის თავგანწირულნი ამავე მუხლით ვსამართლდებით!!! (საქ .სსკ 143 მუხლი), თუმცა ჩვენ რა ხმა ამოგვეღება, როცა ჩვენივე მაცხოვარი სწორედ იმავე ხალხმა გააკრა ჯვარს, ვინც მას ეთაყვანებოდა, რომლის სულიერი გადარჩენისთვისაც მოევლინა ქვეყანას, ისტორიაში შორს წასვლაც არ გვინდა, დღისით, მზისით, ქუჩაში ხვრეტდნენ ილიას, გურამს! იმ ლოგიკით, თუ ბორის ფარულავა დამნაშავეა და აუცილებლად უნდა იყოს იზოლირებული საზოგადოებისგან, როგორც ბოროტი დამნაშავე და გამოკეტილი გისოსებს მიღმა, მოვითხოვ, ჩემთან ერთად ასევე პასუხისგებაში მიეცეს ყველა ის თანამშრომელი, ვისაც განსაკუთრებით 2005 წლის შემდგომ უმსახურია სასჯელაღსრულების სისტემაში. გარწმუნებთ, ყველა მათგანს თუ მონაწილეობა არ მიუღია პატიმართა ცემა-წამების აქტებში, დაუფარავს მაინც ის! – წერს ლადო ბედუკაძე.

მისი თქმით, მის და ფარულავა-



## რას ითხოვს ციხის სკანდალის ავტორი

აკობიას მიერ გამოტანილ კადრებში მოხვედრილი პირები (გამონაკლისი მხოლოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მმართველი რგოლია) სრული შემთხვევითობაა.

– ისინი ასრულებდნენ ბრძანებას, მათ ადგილას, შესაძლებელია, კამერას ნებისმიერი 4500 თანამშრომელთაგანი დაეფიქსირებინა და კიდევ მრავალი ათეულობით სისტემის თანამშრომელი აღმოჩენილიყო გისოსებს მიღმა! მაშ გავყოთ საზოგადოება ბრალდებულებად და ბრალმდებლებად, გადავაქციოთ საქართველო ერთ დიდ ციხედ, რისკენაც ასე მიისწრაფვოდა სააკოვი. ბორის ფარულავა ის ადამიანია, რომელიც დიდ რისკზე წავიდა, გაწირა საკუთარი თავი, ოჯახი და ახლა იმ პირთა გარემოცვაშია, ვისაც იგი ებრძოდა და მათსავით ამავე მუხლით სამართლდება!!! უფრო მეტიც, საქმეს იძიებენ ის გამომძიებლები და პროკურორები, ვისაც მასზე ასჯერ მეტი დანაშაული მიუძღვის კაცობრიობისა და ადამიანობის წინააღმდეგ მიმართულ საქმეში და სააკოვის რეჟიმის გულმხურვალე დამცველები იყვნენ, – აღნიშნავს ციხის სკანდალის ავტორი.

ის ამტკიცებს, რომ ბორის ფარულავა და ლევან ფხალაძე მასთან მეგობრობის გამო დააკავეს. მიიჩნევს, რომ ამით შური იძიეს მასზე. ბედუკაძის თქმით, ისინი დღეს მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესში იმყოფებიან და პასუხისმგებლობა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ეკისრებათ მათ, ვინც ასე უსულგულოდ ეკიდება ამ ადამიანების ბედს და სპეციალურად აჭიანურებს მათი გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტას! ბედუკაძე ამტკიცებს, რომ ეს ადამიანები საზოგადოებისგან იმსახურებენ პატივისცემას და არა დასჯას!

–მე პრესის ფურცლებიდან მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს, მოეცა კანონიერი საშუალება, დავბრუნებულიყავი სამშობლოში და ჩავრთულიყავი ახალი საზოგადოების, ახალი აზროვნების მშენებლობის საქმეში, ჩავრთულიყავი საზოგადოებრივ მოძრაობაში, რომლის მიზანია საქართველოს საბოლოოდ გათავისუფლება ტირანიისგან, იმ ავთვისებიანი სიმსივნისგან, რომელსაც ნაცმოძრაობა და თვითმარქვია პრეზიდენტი სააკოვი ჰქვია! კვლავ მსურს, მთელი ჩემი არსებით, გამოცდილებით ჩავერთო ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში, ვიმსახურო იქ, სადაც ერსა და ქვეყანას მეტად სჭირდება. მთავარი ჯილდო ჩემთვის მხოლოდ თუნდაც ის ფაქტია, რომ საქართველოს ისტორიაში სასჯელაღსრულების სისტემაში აღარასდროს გამეორდება ის ვაკხანალია, ის ამაზრზენი სიტუაცია, რისი მოწმეც გახდა ქართველი საზოგადოება და თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ მომავალში თუნდაც დამნაშავეს ღირსეულად ექნება სასჯელის მოხდისა და დანაშაულის გამოსყიდვის საშუალება. უნდა იცოდეს ყველამ, რომ ქართველი კაცი პატივისა და ღირსების აყრას არავის აპატიებს!

ვთხოვ საქართველოს გენერალურ პროკურორს, ბატონ არჩილ კბილაშვილს! განსაკუთრებით ფაქიზად მიუდგეს ამ ადამიანთა ბედის საკითხს! ნუთუ არ შეიძლება, რომ ეს ადამიანები სასამართლო პროცესის გამართვამდე და მათი ბრალეულობის გადაწყვეტამდე თავისუფლებზე იმყოფებოდნენ??? ნუთუ ასეთი საშიში დამნაშავენი არიან ისინი საზოგადოებისთვის? ან რა ბრალეულობის საკითხს ვწყვეტთ? სააკოვ-ზოდელავას მონაჩმახს???

ბორის ფარულავამ თავი გაწირა, გადაიღო განაწილების კადრები სრულიად უანგაროდ, რისი ნაწილიც კვლავ არ უნახავს საზოგადოებას ჩვენივე გადაწყვეტილებებით და რისი მხილველიც გახდებით, თუ გვინდა, რომ სამართალმა იზეიმოს და სამართლიანობა აღდგეს.

უმორჩილესად ვთხოვ საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ არჩილ კბილაშვილს! დროულად გადაწყვიტოს ჩვენი ბრალეულობის საკითხი, ნუ მაფიქრებინებთ, რომ ქვეყანაზე სამართალი აღარ ყოფილა, ნუ დამარწმუნებთ ჩემ მიერ რამდენიმე ხნის წინ გამოთქმული სიტყვების რეალობაში, რაც შეეხებოდა კადრების გავრცელების სინანულს. მეც და ფარულავამაც თავი გავწირეთ სამშობლოს გადარჩენისთვის და დაე დავისაჯოთ ამ სიყვარულისთვის!!!

ჩვენს თავზე მივიღეთ ძირითადი დარტყმა და ჩვენვე აღმოვჩნდით ამ სისტემის მსხვერპლნი!!! კვლავ ვაცხადებ, რომ ადეიშვილის დაკვეთილ კადრებში ჩემს შურისძიების გამო მონაწილე პირების – ბორის ფარულავასა და ლევან ფხალაძის სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხეშია და ისინი მძიმე ფსიქოლოგიური სტრესში იმყოფებიან!

კვალავ გავიმეორებ, ბორის ფარულავა ჩვენი დროის გმირია და გმირებს ასე არ ექცევიან!

...და მთავარი: მე არც ცოტნე დადიანი ვარ და არც დემეტრე თავდადებული, მაგრამ, იძულებული ვარ, განვაცხადო შემდეგი: ეს არაა არანაირი ულტიმატუმი და ზეწოლა ჩემი მხრიდან გამოძიების მიმართ. ვალდებული ვარ, დავბრუნდე საქართველოში და გავიზიარო ჩემი მეგობრების, ჩემ გამო შურისძიების მიზნით დაკავებული ადამიანების ბედი. ვაცხადებ, მე არსად არ გავქცეულვარ, არავის არ ვემალები, რაც შემეძლო, მაქსიმალურად შევასრულე ერისა და ღმერთის წინაშე, ახლა კი თავს ვალდებულად ვთვლი, ვიყო იქ, სადაც სინდისი, ნამუსი და კაცობა მომიწოდებს, ვიყო ჩემი მეგობრების გვერდით!

ამ ხნის მანძილზე იმედი მქონდა, საქართველოს პროკურატურა მომიხსნიდა მაინც ინტერპოლით გამოცხადებულ ძებნას, რომ თავისუფლად დავბრუნებულიყავი სამშობლოში, თუმცა, ესეც არაფერია, ბევრი გადამიტანია და კვლავაც გადავიტან!

ხმამაღლა ვაცხადებ, რომ მე ვბრუნდები საქართველოში და დამაკავეთ, დამაკავეთ და ხმამაღლა, მთელი ქვეყნის გასაგონად განმიმარტეთ ბრალდება, რასაც პირადად მთელი არსებით ვებრძოდი და რისკის ქვეშ დავაყენე ჩემი ოჯახის, მეგობრების პირადი უსაფრთხოება, დამაკავეთ და განმიმარტეთ, რომ ბრალი მედება სამშობლოს სიყვარულში, – ნათქვამია ლადო ბედუკაძის საგანგებო წერილში.

# თემურ შაშიაშვილი: „20 იანვარს ვდებთ დოკუმენტებს, რომ ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს“

## სააკაშვილის გადადგომას უკვე მილიონი ადამიანი ითხოვს

შორენა კოწოწაშვილი



„თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი იმ მზაკვრულ გეგმაზე საუბრობს, რომლის განხორციელებაც, მისი თქმით, პრეზიდენტ სააკაშვილის ინტერესებშია. შაშიაშვილის თქმით, საქართველოს პრეზიდენტს ამ მზაკვრული გეგმის განხორციელებაში დასავლეთიც ეხმარება.

რა შემთხვევაში ჩაატარებს ვანო მერაბიშვილი არჩევნებს და როდისთვის იგეგმება მერაბიშვილის შს მინისტრად დანიშვნა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილთან.

***– ბატონო თემურ, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლებამ უკვე გაშიფრა ის სქემა, რომლის იმედადაც სააკაშვილი იყო და რაც მას, ასე ვთქვათ, ძალაუფლების დაბრუნების იმედს უჩენდა. გადამეტებული ხომ არ არის ივანიშვილის განცხადება, სააკაშვილი უკვე ბეჭებზეა დადებული?***

– ვფიქრობ, ყველა ადამიანის უდიდესი პასუხისმგებლობაა, დავიცვათ 2012 წლის 1 ოქტომბრის მონაპოვარი. ეს არჩევნები არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის გამარჯვება, ეს არის ქვეყანაში დიქტატურის დამთავრება. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ მომავლის საქართველო მხოლოდ თავისუფალ ადამიანს უკავშირდება. თავისუფლება ჭეშმარიტებაშია. ჩვენი ყველა ქმედება, ეს იქნება „სახალხო კრებაში“, ჩვენს პარტიაში თუ „ერთსულოვნებაში“, რომელმაც 50-მდე ორგანიზაცია გააერთიანა და ლოკალური პროგრამა აქვს – პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა, ამით არის განპირობებული. ჭეშმარიტებაა არა რომელიმე პარტიის გამარჯვება, არამედ დიქტატურის დამარცხება და ყველა, ვინც ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, მან უარი უთხრა დიქტატურას. დიქტატურისგან გათავისუფლება მარტივი არ არის. ამას სერიოზული საყრდენი სჭირდება. ერთ-ერთი სერიოზული საყრდენი არის პროგრამა, რომელიც 1 ოქტომბერს იქნა მხარდაჭერილი და მას ჩასაფრებული პოლიტიკური ძალა სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს. არადა, ჩასაფრებული პოლიტიკური ძალა მეორე დღესვე გამოჩნდა: პრეზიდენტმა გამოაცხადა, მე ვარ ოპოზიციაში. ეს არის უნიკალური მოვლენა, როდესაც ქვეყნის მთავარსარდალი აცხადებს, რომ არის ოპოზიციაში. ე.ი. ხალხის უმრავლესობით არჩეულ ხელისუფლებას ჩაუდგა ოპოზიციაში ანუ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ჩაუდგა ოპოზიციაში და მთავარსარდალია. ეს ისეთი რამ არის, რომ ნებისმიერ ქვეყანაში იმპიჩმენტს გამოუცხადებდნენ, მაგრამ ჩვენთან ეს საკითხი მოდუნდა. ვიღაცას ჰგონია, 12 ოქტომბერს ყველაფერი დამთავრდა, არადა, ამ დღეს დიდი პროცესი დაიწყო, რომელიც ბოლომდეა მისაყვანი. ამ პროცესის პირველი ეტაპი არის ის, რომ მოსცილდეს ჩასაფრებული იმ პროგრამას, რომელსაც მომავლის პროგრამა ჰქვია და რომელსაც არჩევნებზე ხალხმა მხარი დაუჭირა. ვის მოსწონს „ქართული ოცნება“ და მასში შემავალი ძალები, ერთია, მაგრამ პროგრამა, რომელიც დაწერეს ქართველმა მეცნიერებმა, უცხოელმა ექსპერტებმა და რომელიც გამოვიდა, როგორც ივანიშვილის პროგრამა, არის უნიკალური. უნდა ვაღიაროთ, ასეთი პროგრამა არც ერთ პარტიას არ ჰქონია. ეს არის საქართველოს მომავლის პროგრამა. ამიტომ დღეს საუბარია საქართველოს მომავლის პროგრამის გადარჩენაზე. საუბარი იმაზე, რომ სააკაშვილი ბეჭებზეა დადებული, თეორიულად ის, რა თქმა უნდა, ბეჭებზეა დადებული. ვფიქრობ, სააკაშვილი არ ღირს იმად, რომ ვინმე ებრძოდეს. ვინმეს ჰგონია, რომ სააკაშვილს ებრძვიან? არა, ბატონო. დღეს ბრძოლაა სწორედ იმ ძალებთან, რომლებმაც სააკაშვილი მოიყვანეს და რომლებსაც საქართველო ვერ წარმოუდგენიათ მათი დიქტატის გარეშე. მათი დიქტატის განმახორციელებელი კი მიხეილ სააკაშვილია. სააკაშვილი არის არარაობა, მაგრამ, როდესაც გააანალიზებ, ვინ არის პეტერსონ ბელქნაფი, ვინ არის სოროსი და მისი ფონდი; როდესაც გააანალიზებ, რა მიზნით შეიქმნა „თავისუფლების ინსტიტუტი“ და მათი იდეოლოგია; როდესაც ნახავ, მიწის მართვის ინსტიტუტების და ამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების უკან ვინ არის, უკვე სერიოზულად ფიქრობ იმაზე, რომ მართლა დიდ ომში ხარ. ეს მართლა დიდგორია. სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა კი არ არის დიდგორი. დიდგორი არის სწორედ იმ ძალების დამარცხება, რომელზეც სააკაშვილი დგას. ეს არის ქართული ცნობიერების საწინააღმდეგოდ მომართული ძალები. ამათ უნდათ, რომ მართლმადიდებელი რელიგია მოკვდეს და ყველა სიძველე, ტრადიცია. მიხეილ სააკაშვილი იმდენად არარაობაა, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ წუთს არ დავხარჯავ.

***– თქვენ კი ამბობთ, პრეზიდენტი არარაობააო, მაგრამ ფაქტია, რომ ახალ ხელისუფლებას ქვეყნის გარეთ გარკვეულ პრობლემებს უქმნის.***

– სააკაშვილი კი არ უქმნის პრობლემებს, არამედ ის ძალები, რომლებიც მას ლობირებენ. ნატოს პარამეტრებით, გამორიცხულია, რომ რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტი ავღანეთში ჩავიდეს. ჩავიდა ხომ სააკაშვილი? ხმა არავის ამოუღია. ნახეთ, რას უკავშირდება ეს დუმილი. მართლა გგონიათ, რომ სააკაშვილია ძლიერია და რამეს წარმოადგენს?! ამ შეცდომას ნუ უშვებთ. ვინც ეს შეცდომა დაუშვა, ყველამ ფეხები დაიმტვრია.

***– თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ დღემდე ხორციელდება ქვეყნის გარეთ შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. ასეა?***

– მე არ მინდა შეთქმულებაზე ვილაპარაკო, მაგრამ გეუბნებით: საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა არის ისეთი, რომ გარე ძალებს აქ აწყობთ თავისი მორჩილი ხელისუფლება. გარკვევით თქვა ბზეჟინსკიმ: დავანგრიეთ საბჭოთა კავშირი, ახლა ამოცანაა დავანგრიოთ მართლმადიდებლობა. მან ისიც თქვა, თუ საქართველოს უნდა ამერიკასთან კარგი ურთიერთობა, რუსეთის მტერი უნდა იყოსო. ეს ანტიდემოკრატიული გამოსვლაა. სააკაშვილის ქმედებებში წვეთი არ არის ქართული. ყალბი ნაციონალი მოიყვანეს ქვეყნის სათავეში საქართველოს სახელით.

***– საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული საკონსტიტუციო ცვლილებები საბოლოოდ უსპობს იმედს სააკაშვილს, რომ რევანშზე იფიქროს?***

– ივანიშვილმა რაც მოამზადა, ეს არის პრობლემის შემსუბუქება და არა გადაჭრა. სამწუხაროა, რომ ივანიშვილი ნაკლებად უსმენს პიროვნებებს თავისი კოალიციის გარეთ. მე ვარ მისი პროგრამის მხარდამჭერი და ვაღიარებ, რომ რაც მან ერთი წლის მანძილზე შეძლო, ეს იყო წარმოუდგენელი. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ 7 ნოემბერი და 26 მაისი. ყველა პრობლემა ხომ დამთავრებული იქნებოდა, რომ გვეთქვა, 50%-იანი ბარიერი მაჟორიტარი დეპუტატებისათვის. დღეს ხომ სამი-ოთხი მაჟორიტარი დეპუტატის მეტი ნაციონალური მოძრაობიდან არ იქნებოდა. როგორც მინიმუმ, 110 დეპუტატი იქნებოდა „ქართული ოცნების“. რადგან ამას სხვა ამბობდა და არა მის წიაღში მყოფი პოლიტიკოსები, მხარი არ დაუჭირა. მის კოალიციაში არის ძალები, რომლებმაც თავის დროზე მხარი დაუჭირეს 30%-იან ბარიერს და სამწუხაროდ, ირაკლი ალასანია ამას დაეთანხმა, რომლის მიმართ უდიდესი პატივისცემით ვრჩები. ჩვენი წინადადება რომ მიღებულიყო მაშინ, დღეს ხომ ყველაფერი დასრულებული გვექნებოდა? იმ უნიკალურ პროგრამას, რომელიც ივანიშვილმა წარმოადგინა, ჩასაფრებული პოლიტიკური ძალა არ აწყობს. მძიმე რამეს ვამბობ: მე არ მინდა ვიფიქრო, რადიკალური მოქმედებები რომ არ არის, ეს ნიშნავს იმას, რომ პარტია ნაციონალური მოძრაობა, როგორც ოპოზიცია, დღეს ბევრს აწყობს „ქართულ ოცნებაში“. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თვლის, რომ არ შეიძლება ნაცმოძრაობა მთავარი ოპოზიციური ძალა იყოს. მაგრამ ეს განწყობა არ არის ყველა პოლიტიკურ ძალაში, განსაკუთრებით იმ ძალებში, რომლებიც ქვეყნის გარედან იმართებიან და უსმენენ ზოგი ამერიკას, ზოგი – რუსეთს. დღეს საქართველოს მოსახლეობის ამოცანა უნდა იყოს, პირველი: მოვაცილოთ „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს ნაციონალური მოძრაობა, როგორც ჩასაფრებული პარტია და ჩასაფრებული პრეზიდენტი და მერე ყველამ გადავინაცვლოთ იმ პროგრამის შესრულებაზე, რომლითაც ივანიშვილი მოვიდა. აი, ეს არის საქართველოს გამარჯვება. თუ პრემიერს ჩასაფრებული პარტია ეყოლება, ბატონი ბიძინა ვერ განახორციელებს იმ პროგრამას. მე ამ პროგრამას მივესალმები და ყველა ხელისშემშლელი ბარიერი უნდა ჩამოვაცილოთ. ჩვენ გეხმარებით. ივანიშვილმა თქვა, მარტო ამას კი არ გავაკეთებ, უფრო მეტს გავაკეთებო, მაგრამ ამის გაკეთება ჩასაფრებული პრეზიდენტის პირობებში ძნელია. ოპოზიციური პარტიები ჩასაფრებული არიან და როცა შესრულდება 100 დღე, დაიწყება კრიტიკა. ჩვენ გვერდში გიდგევართ, არ გისაფრთდებით, არ გვინდა თანამდებობა. ლევან ბერძენიშვილი შეურაცხყოფას გვაყენებს აქეთ, მაგრამ არა უშავს. იციან, ვინ არის ლევან ბერძენიშვილი და ვინ არის თემურ შაშიაშვილი. მე ბერძენიშვილს არ ვეჯიბრები. დღეს ლევან ბერძენიშვილი წერს, რომ თურმე ჩვენ ამ ღონისძიებებს ვატარებთ იმიტომ, რომ ვიღაცას პოლიტიკაში მოსვლა უნდა, ვიღაცას პოლიტიკაში დაბრუნება. ყველასთვის შეურაცხმყოფელია ეს გამოსვლა. ამით ლევან ბერძენიშვილი, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილს აყენებს შეურაცხყოფას. ჩვენ ამას ვითმენთ ივანიშვილის პროგრამის გამო და გაჩერებული ვართ, თორემ ლევან ბერძენიშვილის და მისი იდეოლოგიის პირველობა ვის უნდა ამ ქვეყანაში?! ამიტომ ვამბობთ: ჩვენ ვდგავართ ამ პროგრამასთან და ხალხმა უნდა მოაცილოს ჩასაფრებული პრეზიდენტი. მილიონი ხელმოწერაა უკვე პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნაზე. ნახეთ, 20 იანვარს რამდენი ადამიანი გამოვა ქუჩაში. ვინც ხელი მოაწერა, ის ადამიანი თვლის, რომ სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ არის. სააკაშვილს არ ჰქონდეს თავისი მთავრობით არჩევნების ჩატარების უფლება, კარგია, მაგრამ ეს არის პროგრამა მინიმუმი. ეს არის დღეს „ქართული ოცნების“ სასარგებლო. ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებს აწყობთ, რომ არჩევნები ჩატარდეს არა ერთ თვეში ან ორ თვეში, ეს მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ აწყობს. საქართველოს უნდა აწყობდეს არჩევნების ჩატარება ამ წლის ბოლომდე და მართლაც ნამდვილ პარლამენტს მივიღებთ. ივანიშვილი ამ საკონსტიტუციო ცვლილებით საკითხს სწორად აყენებს.

***– „ერთსულოვნების“ ინიციატივით მიმდინარე ხელმოწერების ფონზე, როგორ წარმოგიდგენიათ პოლიტიკური პროცესების შემდგომი განვითარება?***

– საქართველოს ჰყავს რამდენიმე ძლიერი კონსტიტუციონალისტი. ასეთ დროს მათ უნდა მოუსმინო. ყველა თვლის, რომ სააკაშვილის ვადა 20 იანვარს სრულდება. ივანიშვილმა თქვა, ვერავინ ვერ მიხვდა, სააკაშვილს რა აქვს ჩადებული ამ კონსტიტუციაშიო. ასე არ არის, გაშალეთ მათ შორის თქვენი გაზეთი და ნახეთ, რომ არჩევნებიდან ორ-სამ დღეში ვწერდი, დავწერე (როცა სააკაშვილმა თქვა, ოპოზიციაში წავედიო), ნაციონალური მოძრაობა უკვე საშიში გახდა. მივიღე დარტყმები გარედან. იქ მიწერია: სააკაშვილი 6 თვის თავზე დაშლის პარლამენტს, შესთავაზებს თავის მთავრობას. თუ მთავრობას არ დაუმტკიცებს ორჯერ, დაშლის პარლამენტს და თავისი მთავრობით ჩაატარებს არჩევნებს. რაც ბატონმა ბიძინამ თქვა, ამოვხსენი დიდი ამოცანაო, ეს 2012 წლის ოქტომბერში დავწერე და დარწმუნებული ვარ, ბევრმა სხვამაც. სააკაშვილს აქვს ძალიან მზაკვრული გეგმა. ერთი მხრივ, პროგრამა არის უნიკალური, მეორე მხრივ, ის პროგრამა ვერ შესრულდება ჩასაფრებული პრეზიდენტის ხელში. მაგრამ ხალხი ამის შესრულებას ელოდება. ამიტომ იმედგაცრუება იზრდება. იმედგაცრუებას აქვს ცრუ საფუძველი იმიტომ, რომ სააკაშვილი დღეს უშლის ხელს პროგრამის შესრულებას. პროგრამის არშესრულებას სააკაშვილი გამოიყენებს და 6 თვის თავზე იტყვის, ბატონებო, მეგონა ივანიშვილი გააკეთებდა ამას, ამას, ამას. მან ვერ გააკეთა ვერაფერი, ამიტომ მე ვნიშნავ ჩემს მთავრობას და გავაკეთებ ამას, ამას, ამას. გეუბნებით, ქვეყანაში დიდი უბედურება დაიწყება, თუ ის თავის მთავრობას დანიშნავს.

***– თუ ასე მოხდა, სააკაშვილი მთავრობის თავმჯდომარედ ისევ ვანო მერაბიშვილს დანიშნავს?***

– არა. მთავრობის თავმჯდომარედ სხვას, ახალს დანიშნავს. ცოტა ფულიც რომ ჰქონდეს. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, მას შს მინისტრად დანიშნავს. დღევანდელი კონსტიტუცია სააკაშვილს საშუალებას აძლევს, რომ აპრილის დასაწყისში მან შესთავაზოს მთავრობის თავმჯდომარეს ახალი მთავრობის წევრები, მზაკვარია სააკაშვილი და ახალი მთავრობის თავმჯდომარეზე არა მარტო ის ფიქრობს, არამედ ფიქრობენ დასავლეთშიც ძალიან ბევრნი. ეძებენ პიროვნებას, რომელიც პრემიერად გამოდგება. დაასახელებს სააკაშვილი ამ პიროვნებას, იტყვის, რომ მას გავლენიანი ფიგურები უჭერენ და მერე ის შემოგვთავაზებს ახალ მთავრობას, რომელშიც ვანო მერაბიშვილი იქნება შს მინისტრი და ჩაატარებს არჩევნებს. მას უნდა ქვეყანაში არეულობა, ჩვენ ეს არ გვინდა. ხელისმოწერებსაც ამიტომ ვაგროვებთ და ვამბობთ, 21 იანვრიდან სააკაშვილი აღარ არის საქართველოს პრეზიდენტი. საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი გვაქვს სარჩელი. პარლამენტს მივმართეთ წინადადებით, ხელმოწერები შევაგროვეთ. ვდებთ დოკუმენტებს 20 იანვარს, რომ უნდა გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც გენოციდი მოუწყო საქართველოს მოსახლეობას. უნდა გასამართლდეს სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნები ელიტარული კორუფციისთვის, რომლის სათავეშიც პირადად სააკაშვილი დგას. და მესამე მომენტი, რასაც ჩვენ გამოვიტანთ: პრეზიდენტი არის პრაქტიკულად უუნარო. ის, რაც მან ავღანეთში ჩასვლით გააკეთა, რაც ავღანეთიდან დუბაიში ჩასვლით გააკეთა, იმით, რაც მან რამდენიმე დღის წინ ბელგიაში განაცხადა, რომ „საქართველო საბჭოთა კავშირის დროს იყო ყველაზე ჩამორჩენილი“. არაქართველს შეეძლო მხოლოდ ეს ეთქვა. იმიტომ, რომ მთელი მსოფლიო ამბობს, საბჭოთა კავშირის დროს ქართული კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება, სპორტი და მედიცინა პირველობდა. სააკაშვილმა ეს გაანადგურა თავისი ავტორიტეტით. შეიძლება იყოს საქართველოს პრეზიდენტი კაცი, რომელიც თვითმფრინავის დანახვაზე მიწაზე ფორთხავდა? ეს არის სკამზე მიკერებული კაცი. არ მეგონა, მაგრამ ახლა, ქუთაისში რომ ვიყავი, მომიყვნენ: ბელგიაში რომ მიდიოდა სააკაშვილი, თვითმფრინავით ქუთაისში დაჯდა და ჩაიჯინა საჯაია და ბელგიაში წაიყვანა. ეს არსად დაწერილა. თურმე ავღანეთშიც წაუყვანია. რა არის ეს?! სირცხვილი აღარ არის?! ვისაც ღირსება გვაქვს, ვამბობთ: სააკაშვილი 21 იანვრიდან პრეზიდენტი აღარ არის!

## 8 იანვარს სოფლის რწმუნებულები განცხადებებს „გაგებით“ დაწერენ

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების (სოფლების) რწმუნებულები 2013 წლის 8 იანვარს განცხადებებს დაწერენ. ამის შესახებ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს რამდენიმე სოფლის გამგებელმა აცნობა. მათი თქმით, ზეწოლა არ ყოფილა. „ეს იყო თხოვნა, რომ შექმნილი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე მოხდეს თანამდებობების დატოვება და განცხადებების დაწერა“ – გვითრა ერთ-ერთმა რწმუნებულმა.



სოფელ ბერბუკის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული სოსო ბეჟანიშვილი ამბობს, რომ მოთხოვნის შემთხვევაში მზად არის დაწეროს განცხადება. ანალოგიურს სხვები აცხადებენ.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრისთვის ცნობილი გახდა სოფლის რწმუნებულებისა და რაიონის ხელმძღვანელობას შორის გამართული საიდუმლო შეხვედრის დეტალები. ერთ-ერთი სოფლის გამგებელი წამოდგა და გამგებელს კადრების შერჩევა დაუწუნა: „ჩამოდით ჩემს სოფელში, თუ თქვენი „ოცნების“ წარმომადგენელს მეტი ავტორიტეტი აქვს, ვიდრე მე, იქვე დავწერ განცხადებას და მე თვითონ წავალ“ – უთხრა მან გამგებლის მოადგილეს.

გორის მუნიციპალიტეტის პრესსამსახურის უფროსი ნათია ხაჩიური აცხადებს, რომ მათთვის უცნობია თუ რას აპირებენ რწმუნებულები 8 იანვარს. „ჩვენ არ ვიცით, რას აპირებენ სოფლის რწმუნებულები 8 იანვარს.“ – ამბობს ნათია ხაჩიური.

პ.ს. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში და საკრებულოში კვლავ გაძნელებულია შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტების შესვლა. შეუძლებელია.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი

## ბიძინა ივანიშვილი: „მჯერა, რომ ყველანი ერთად, ახალი შემართებით ავაშენებთ ჩვენს საოცნებო საქართველოს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი შობის ბრწყინვალე დღესასწაულს მშობლიურ მხარეში შეხვდა.



სადღესასწაულო წირვა-ლოცვას საქართველოს პრემიერ-მინისტრი მეუღლესთან და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ჭორვილაში მდებარე 13 ასურელი მამის სახელობის ეკლესიაში დაესწრო.

„შობა საყვარელი და ტრადიციული დღესასწაულია ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის. ამ დღეს უდიდესი სიხარულით ველოდებით და ყველა ოჯახში საზეიმო განწყობა სუფევს. შობა ახლის დაბადებას ნიშნავს და მჯერა, რომ ჩვენ, ყველანი ერთად, ახალი შემართებით ავაშენებთ ჩვენს საოცნებო საქართველოს“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პირველი

# პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო სულიერნო შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

„ათასწლოვანი მოლოდინი კაცთა მოდგმის ხსნისა დასრულდა. აღსრულდა მრვალ თაობათა ნატვრა, – იშვა იესო.

ოცი საუკუნის წინ აღმობრწყინვებული ბეთლემის ვარსკვლავი დღეს კვლავ ამცნობს სამყაროს ენით მიუწვდომელ საიდუმლოს ღვთის განხორციელებისა; სასწაულს, რომელსაც ვერასოდეს ჩასწვდება ადამიანური გონება. საოცრებას, რომელსაც ვერასოდეს წარმოიდგენდა თვით ანგელოზთა დასიც.

თითქმის არ არის არც ერთი ქვეყანა, არც ერთი ქრისტიანული ოჯახი, რომ არ ხარობდეს ამ დღის დადგომით, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრისთვის უცნობია ასეთი განწყობის ნამდვილი მიზეზი და ისიც, თუ რას ავალდებულებს ეს დღე ყოველ ადამიანს.

უმრავლესობა ვერ გვიპასუხებს, მაინც რა მიზნით მიიღო კაცობრივი ბუნება უფალმა? რა საჭირო იყო ეს? რა შეიცვალა მისი მოსვლით დედამიწაზე?

ამის გაგება ზოგიერთს არც კი აინტერესებს, მათთვის ისიც საკმარისია, რომ კარგი განწყობისა და მხიარულების რაღაც მიზეზი აქვთ. დაე, იყოს ეს ქრისტეს შობა, – არსობრივ მნიშვნელობას ამას არც ანიჭებენ. მათ კი, რომელნიც ნაკლებად გათვითცნობიერებულნი არიან სარწმუნოებაში, მაგრამ ცოდნის შეძენის სურვილი აქვთ, კიდევ ერთხელ შევახსენებ წმინდა წერილს:

ადამი შემოქმედმა ხატად და მსგავსად თვისსა შექმნა და სამოთხეში ნეტარი ცხოვრება უბოძა, მაგრამ სამყაროს გვირგვინად და განმგებლად დადგენილი კაცი თავისი ნებით, ამპარტავნებითა და უპასუხისმგებლო ქცევით ღმერთს განუდგა და მაცდურის მონობაში აღმოჩნდა. მასთან ერთად დაეცა მიწიერი სამყაროც, რომელიც მას ექვემდებარებოდა. ღვთის მადლით აღვსილი ჰარმონია, წმ. მაქსიმე აღმსარებელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეშმაკის ტირანიით განმსჭვალულმა სიძულვილმა და ურთიერთ დაპირისპირებამ შეცვალა; ეს მდგომარეობა აისახა როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობებში, ისე ცხოველთა, მცენარეთა და საერთოდ, მთელი ბუნების არსებობის წესში: ყველაფერი დაექვემდებარა პრინციპს, – ბრძოლა არსებობისათვის.

ასე რომ, ღმერთსა და ადამიანს შორის გადაულახავი უფსკრული გაჩნდა; ადამმა და ევამ და მათმა შთამომავლებმა დაკარგეს სულიწმიდის მადლი, რითაც შემოქმედთან კავშირი ხორციელდებოდა და რაც ღმერთთან მათი მსგავსების განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი იყო; ამ მადლს მოკლებულნი, მოაკლდნენ სწორ აზროვნებასა და ქმედებასაც. ცოდვას ცოდვა შესძინეს და საკუთარ თავს მარადიული სიკვდილი განუმზადეს.

ამ რეალობის შეცვლის შესაძლებლობა კი აღარ არსებობდა, რადგან კაცთა ხსნა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელიც უცოდველი იყო და ხელეწიფებოდა სხვათა სიმძიმე ეტვირთა. ასეთი კი, ამქვეყნად არ იპოვებოდა, რადგან პირველქმნილი ცოდვა ყველას მემკვიდრეობით გადაეცემოდა და ამას კიდევ ცალკეული ადამიანის პირადი ცოდვებიც ემატებოდა.

ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედმა და განმგებელმა ცანი მოდრიკნა, ადამიანური ბუნება მიიღო და ჩვენი ხსნისათვის დავითის ქალაქში, ბეთლემში, იშვა.

აქ, ბაგაში, სიცივესა და სიმწირეში დაიბადა ახალი ადამი, – იესო, რათა ამპარტავნებით დაცემული ძველი ადამის ცოდვა გამოესყიდა, მართალთა სულები ჯოჯოხეთიდან ეხსნა და ღმერთთან კავშირი აღედგინა. აი, ეს არის ჩვენი დიდი სიხარულის მიზეზი, სათავე ენით გამოუთქმელი ბედნიერებისა.

სხვა რა უნდა შევადაროთ ამ დღის სიდიადეს?! როგორ ხორციელდება პირველქმნილ ჰარმონიასთან ჩვენი დაბრუნება?

პირველ რიგში ქრისტიანული ნათლისღებით. ,,ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ!“ – ამბობს საიდუმლოს აღსრულებისას მოძღვარი და შვიდჯერ სცხებს მირონს მას, ვინც ინათლება, რითაც ადამიანს ენიჭება სულიწმინდის მადლი და ეძლევა განღმრთობისა და ნეტარი მარადიულობის დამკვიდრების შესაძლებლობა.

ამ მიუწვდომელი წყალობის გამო წმინდა მამები, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, საუკუნეთა მანძილზე გულწრფელად გაოცებულნი კითხულობდნენ: „რაი არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი, ანუ ძე კაცისაი, რამეთუ მოხედავ მას?“ (ფს. 8:4).

ჩვენი ხსნისათვის მაცხოვრის თავგანწირვა, უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ამ ეპისტოლეში სწორედ აღნიშნულ გრძნობაზე მინდა განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება.

ეს თვისება ადამიანში ასაკთან ერთად ვითარდება; ამასთან, რამდენადაც მაღალ სულიერ საფეხურზე იმყოფება ესა თუ ის პიროვნება, მით მეტად არის მასში ეს განცდა.

პავლე მოციქული ამბობს: „როდესაც ვიყავი ყრმა ვიტყოდი, როგორც ყრმა, ვფიქრობდი, როგორც ყრმა, ვმსჯელობდი, როგორც ყრმა; ხოლო როდესაც დავკაცდი, ზურგი ვაქციე ყოველივე ყრმობის დროინდელს (I კორ. 13:11).

ჩვენც გვმართებს ყრმობიდან გამოსვლა ანუ სულიერი გაზრდა და გაცნობიერება ჩვენი პასუხისმგებლობისა უპირველეს ყოვლისა შემომქმედის – უფლის, სამშობლოს და მოყვასის წინაშე; პასუხისმგებლობისა როგორც ცოცხლების, ისე გარდაცვლილების მიმართ, რაც გულისხმობს ჩვენს ვალდებულებებს მშობლებთან, ოჯახთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, მეზობლებთან მიმართებაში, ასევე სამსახურებრივ პასუხისმგებლობას.

ჩვენი წინაპრები თავიანთ შვილებს ბავშვობიდან ულვივებდნენ ამ გრძნობას. ამიტომაც იყო ჩვენი ერი ძლიერი. მიუხედავად განუწყვეტელი ომებისა, იგი იბრძოდა-კიდეც და ამასთან, დაულალავად შრომობდა და ქმნიდა.

რწმენისა და მამულის დასაცავად საჭიროების შემთხვევაში ქუდზე კაცი გამოდიოდა. საერთოდ კი ოჯახში, სოფელსა თუ თემში ყველას თავისი პასუხისმგებლობა ჰქონდა: მეფე ზრუნავდა მთელს ერზე, თავად-აზნაურობა პატრონობდა და ხმლით იცავდა თავის ტერიტორიაზე მცხოვრებთ; ეკლესია ანათლებდა და სულიერად ამტკიცებდა ერსსამწყსოს; გლეხები ქმნიდნენ დოვლათს; ყველანი ერთად კი შეადგენდნენ ჩვენი ქვეყნის ერთიან, მთლიან ცოცხალ ორგანიზმს, სადაც თითოეული თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ემსახურებოდა ღმერთს და ქვეყანას. რომელიმე მათგანის დაძაბუნება იწვევდა ყველას დასუსტებას, რადგან არცერთი მათგანის ფუნქცია არ იყო უმნიშვნელო; თუმცა რაც უფრო მაღალი იყო წოდება და თანამდებობა, მით მეტი იყო პასუხისმგებლობაც. ეს კი ხშირად სიცოცხლის გაწირვას მოითხოვდა. ზოგჯერ მეფის ან სასულიერო პირის თავდადება იყო საკმარისი, მაგ. წმ. დემეტრე თავდადებული, წმ. ევდემოზ კათოლიკოსი, ზოგჯერ კი მთელი ერის, – მაგ. 100000 მოწამის.

თავისუფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ვინც თავისუფლებას კარგავს, მონურ მდგომარეობაში ვარდება და პასუხისმგებლობის განცდაც უქვეითდება.

გავიხსენოთ, რა მოხდა დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საქართველოში: მთელი ეს ჰარმონიული სისტემა მოიშალა, მეფის ხელისუფლება და ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმდა, ძალაუფლება უცხო ძალის ხელში გადავიდა, რის შედეგადაც თავადაზნაურობა უგულო ბატონად იქცა, ყოველივე ეს კი მთელი სიმწვავით გლეხკაცობაზე აისახა.

ქართველმა კაცმა მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი ძირფესვიანად შეცვალა. საქვეყნო საზრუნავის ადგილი პირადულმა დაიკავა. სამშობლოზე ფიქრის ნაცვლად მისი გონება მხოლოდ საკუთარ კარ-მიდამოსა და ოჯახზე ზრუნვამ მოიცვა.

დიდმა ილიამ ეს პრობლემა ცნობილი ლექსით, – „ბედნიერი ერი“ – ნათლად დაგვანახა.

ერის უპასუხისმგებლო მდგომარეობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ 1918 წელს წმინდა ილია მართლის ეროვნული გზის ნაცვლად ხალხმა უცხო ქვეყნის ათეისტური პარტია აირჩია. შემდეგ კი კიდევ უფრო სამწუხარო შედეგმაც არ დააყოვნა და მოკლე ხანში ქვეყანა კომუნისტური იმპერიის ნაწილი გახდა.



უფალი, მართალია, სამართლიანია, მაგრამ, ამავე დროს მოწყალეც, რომელიც არა ცოდვათა ჩვენთაებრ მოგვაგებს, არამედ ჩვენი გამოსწორებისათვის გვწვრთნის იმის გათვალისწინებით, თუ რამდენის დატევნა შეგვიძლია.ამიტომაც რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ, გაცილებით უკეთესად ვართ, ვიდრე ვიმსახურებთ და მრავალჭირგამოვლილი წმ. იოანე ოქროპირის მსგავსად მუდამ მადლობას უნდა ვწირავდეთ ღმერთს ყველაფრისათვის.და თუ გვსურს, მდგომარეობის გამოსწორება, უნდა ვიტვირთოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და უფლის წყალობა ამით მოვიპოვოთ. ეს არის ყველაზე მთავარი. ჩვენით კი ვერაფერს გავხდებით. მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობა დამღუპველი იყო და იქნება ყოველთვის.

სამწუხაროდ, თვითოეულ ჩვენგანს დღესაც გვაკლია პასუხისმგებლობის გრძნობა. ჩვენ გულგრილი ქრისტიანები ვართ, ნელ-თბილნი, და ამიტომაც დიდ შეცდომებს ვუშვებთ. ჩვენში მძლავრობს ეგოისტური ზრახვები და „მეს“ პრინციპი, რაც ჭეშმარიტ ღირებულებათა დამანგრეველია.

ჩვენი სულიერი სისუსტის გამოვლინებაა თუნდაც ის, რომ დღესასწაულებს ფაქტობრივად მიწიერი გრძნობებით ვეგებებით და რეალური განცდა ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობისა, არა გვაქვს. რომ ჩვენს გარშემო ვამჩნევთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც გვიყვარს ან გვძულს, სხვა უბრალო ადამიანები კი ყურადღების მიღმა გვრჩება. ღვთის წინაშე კი დიდი და მცირე არ არსებობს. რომ ცოდვა აღარ გვაწუხებს და მისი სიმძიმის განცდაც აღარ გვაქვს. რომ თითქმის გაწყვეტილი გვაქვს კავშირი ბუნებასთან, მისდამი მხოლოდ მომხმარებლურ დამოკიდებულებას ვიჩენთ და ჩვენი უპასუხისმგებლო ქცევით ვანადგურებთ მის სიკეთეთ.

ჩვენი დანაშაულია ისიც, რომ რომ კარგად არ ვიცნობთ ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიას; არადა მისი ცოდნა გვეხმარება, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს, საკუთარი თავი შევიცნოთ და სიცოცხლის აზრიც ნათლად გავაცნობიეროთ.

არაერთხელ მითქვამს ისიც, რომ დღეს ინფორმაციული ომის ჟამი დგას, კალმით ანუ სიტყვით ბრძოლის დრო. მასთან შეჭიდება კი გონიერმა, მცოდნე და ამასთან ღვთისმოყვარე ადამიანებმა უნდა იტვირთონ. უნდა შევძლოთ, ყალბი იდეალების ბატონობის ჩვენს ხანაში გავხდეთ სულიერად უფრო მტკიცენი და ძლიერნი, რათა გავიმარჯვოთ.

განსაკუთრებით მინდა მივმართო ახალგაზრდებს და ვთხოვო: გაუძელით ინფორმაციულ შემოტევას, რომელიც ნიაღვარივით მოედინება მასმედიიდან და ცდილობს, ცრუ ღირებულებების გავლენის ქვეშ მოგაქციოთ, არ გახდეთ თანაზიარნი ფსევდოკულტურისა, რომელიც ამახინჯებს ფსიქიკას, აუხეშებს გრძნობებს და აცარიელებს შინაგან სამყაროს. შეიყვარეთ წიგნი, ისწავლეთ ღრმა აზროვნება, ისწავლეთ ღმერთის შიში და სიყვარული, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანის ერთგული მეციხოვნენი გახდეთ.

დრო მცირე გვაქვს და არ უნდა აღმოვჩნდეთ იმ ხუთი ქალწულის მდგომარეობაში, რომელთა კანდელსაც უფლის მოსვლისას საკმარისი ზეთი არ აღმოაჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ მორწმუნენი და უფლის მომლოდინენი, ვერ შევიდნენ ღვთის საუფლოში.

ბოროტის გავლენისაგან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ეს მხოლოდ ძლიერ პიროვნებებს შეუძლიათ, ანუ მათ, რომელნიც საკუთარ ნებას გააზრებულად უმორჩილებენ ღვთის ნებას და ამქვეყნიურ საცდურთა წინააღმდეგ ბრძოლას არ უშინდებიან.

ყოველი ადამიანი უპირველეს ყოვლისა სწორედ ასეთი პიროვნება უნდა იყოს, – ჭეშმარიტად თავისუფალი და სულიერად ძლიერი, რათა ერს ხერხემლად ექცეს. ასეთი ადამიანების აღზრდის საქმეში ეკლესიას დიდი როლი აკისრია.

საერთოდ, ეკლესია ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას; იგი ის მაცხოვნებელი წიაღია, რომელიც ინარჩუნებს საუკეთესო ტრადიციებს და აქვს რა უცვალებელი რჯული და მოძღვრება, ყველა ეპოქაში მოწმობს ჭეშმარიტების შესახებ.



გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს მიუახლოვდა ადამიანთა თანასწორობის შესახებ ღირებულებათა იმ სტანდარტებს და ფასეულობებს, რასაც ეკლესია ოცი საუკუნის წინ ქადაგებდა. მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის პერიოდში, ძალმომრეობისა და დაუნდობლობის ხანაში, ქრისტეს სახარება მოუწოდებდა ხალხს თანასწორობისაკენ.

ყოველი ქრისტიანის ცხოვრება აბსოლუტურად თავისუფალია და ეკლესიის წევრობაც მხოლოდ მის თავისუფალ ნებაზეა დაფუძნებული. თითოეული მრევლის წევრი მხოლოდ საკუთარი სინდისით არის დაკავშირებული მოძღვართან და ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლოც სინანულისა მხოლოდ მის პირად პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული, – ადამიანი დამოუკიდებლად წყვეტს, რას იტყვის აღსარებაში და იმასაც, რამდენად იქნება ეს ნათქვამი სინანულით გაჯერებული.

სრული თავისუფლებით მომქმედი და, ამავე დროს, ჭეშმარიტი სინანულით განმსჭვალული პიროვნება იღებს სულიწმინდის მადლს, რომელიც ცვლის მის სულიერ და ყოფით სამყაროს და მას ღვთის სათნო შვილად აქცევს; შედეგ კი უკვე იგი თვითონ ხდება გზის მაჩვენებელი სხვათათვის; ამაზე წერდა წმინდა სერაფიმე საროველი: მოიხვეჭე სულიწმიდის მადლი და შენს გარშემო ათასები ცხონდებიანო.

თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, მოიპოვოს სულის სიღრმეში დამალული უფლისგან ბოძებული ეს საჩუქარი, ვალდებულია, ააღორძინოს იგი, რათა ღირსეულად აღასრულოს თავისი ვალი ამ წუთისოფელში და შემდეგ ჩვენს დიდებულ წინაპართა მსგავსად ზეცის მოქალაქეობა მოიპოვოს.

შორეული ქვეყნებიდან ახლადშობილი იესო ქრისტეს თაყვანისსაცემად მიდიან აღმოსავლელნი მოგვნი, მიდიან მწყემსნიც თავისი გულწრფელობით, ანგელოზთა გალობის მსმენნი. მაშ, წავიდეთ ჩვენც, რათა ვიხილოთ ბაგასა მწოლი იესოს დიდებულება და აღარასოდეს განვშორდეთ, რადგან საუკუნო სიცოცხლის სიტყვები მასა აქვს მხოლოდ. (ინ. 6:68).

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა!“

ჩემო სულიერო შვილები, ჩემო ნათლულებო, ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, რუსნო, ასირიელნო, იეზიდნო და ქურთნო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო, უკრაინელნო და უდინნო... ყველას გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალმა მოგანიჭოთ მადლი სულისა წმიდისა, რათა იხაროთ ორსავ სოფელსა შინა, ამინ!“

**ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.**

**შობა ქრისტესი, თბილისი, 2013 წელი**

# ვინ გახდება გაეროში საქართველოს ელჩი

ნათია ხურცილავა

საქართველოს საგარეო უწყებამ რამდენიმე ელჩი უკვე გამოიწვია, ასევე რამდენიმე ელჩს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა. შესაბამისად ახალი ელჩების სავარაუდო კანდიდატები კულუარებში უკვე სახელდება.

ერთ-ერთ ასეთ კანდიდატად არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" ყოფილი ხელმძღვანელი ეკა სირაძე დასახელდა.

ეკა სირაძე ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შეიძლება ის საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახდეს, არც უარყოფს და არც ადასტურებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ოფიციალური ინფორმაცია არ არის, თუმცა მისმა გვარმა კულუარებში საფრანგეთის ელჩის თანამდებობაზე გაიჟღერა.

– არ ვიცი, გაავრცელა თუ არა ამის შესახებ რაიმე განცხადება საგარეო საქმეთა სამინისტრომ, მაგრამ მე ამ ინფორმაციას ვერც ვადასტურებ და ვერც უარვყოფ, – განაცხადა ეკა სირაძემ.

ეკა სირაძე ერთ-ერთი აქტიური არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი იყო. სირაძეს ასევე მხარს უჭერდნენ ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე, სწორედ მის კანდიდატურას უჭერდა მხარს მაშინდელი ოპოზიცია.

ეკა სირაძე 2011 წლამდე „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" აღმასრულებელი დირექტორი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინფორმაციას ეკა სირაძის ელჩად დანიშვნასთან დაკავშირებით ოფიციალურად არც საგარეო საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ:

– ჯერჯერობით ოფიციალურ ინფორმაციას იმის შესახებ, ვინ გამოიწვია და ვინ დანიშნა სამინისტრომ, ვერ გავავრცელებთ, ველოდებით პრეზიდენტის განკარგულებას, – აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში.

როგორც ცნობილია, საფრანგეთში საქართველოს ელჩს, მამუკა კუდავას, დიპლომატიური საქმიანობის 5-წლიანი ვადა გასული წლის შემოდგომაზე ამოეწურა. თუმცა, ჯერ უცნობია, კუდავა რჩება საგარეო საქმეთა სამინისტროში თუ მან დატოვა სამინისტრო.

გასულ კვირას ელჩების გამოწვევასთან დაკავშირებით ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა:

– საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება მთელი რიგი ქვეყნებიდან საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩების გამოწვევის თაობაზე.

სამსახურებრივ მოვალეობას აღარ შეასრულებენ ის ელჩები, რომლებმაც საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვეს თანამდებობები და ისინი, ვისაც როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა ეწურებათ.



ასევე ქვეყნის პირველმა პირმა გამოიწვია ის დიპლომატები, რომელთა შესახებაც შესაბამისი გადაწყვეტილება მთავრობასთან კონსულტაციის საფუძველზე იქნა მიღებული.

ამას გარდა, პრეზიდენტმა საფრანგეთში საქართველოს ელჩის ვაკანტურ თანამდებობაზე მთავრობის მიერ შეთავაზებული კანდიდატურა წარადგინა, – ნათქვამია განცხადებაში.

ელჩების გამოწვევასთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემაც. ფანჯიკიძის თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ პირველ რიგში ის ელჩები გამოიწვია, ვისაც როტაციის ვადა გასდიოდათ და ეს ყველაფერი პოლიტიკისგან დამოუკიდებლად მოხდა.

ასევე, ქვეყნის პირველმა პირმა გამოიწვია ის დიპლომატები, რომელთა შესახებაც, შესაბამისი გადაწყვეტილება მთავრობასთან კონსულტაციის საფუძველზე იქნა მიღებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საფრანგეთში საქართველოს უკვე ყოფილ ელჩს მამუკა კუდავას დიპლომატიური საქმიანობის 5-წლიანი ვადა ამოეწურა. მამუკა კუდავამ „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე დაწერა „აღნიშნულ ისტორიულ პროცესში მონაწილეობა სხვა ამპლუით გააგრძელოს".

ასევე ვაკანტურია იტალიაში, სან-მარინოსა და მალტის რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობა. როგორც ცნობილია, იტალიაში საქართველოს ელჩმა, კოტე გაბაშვილმა, მიუხედავად იმისა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, მას გაბაშვილისთვის არ მოუთხოვია გადადგომის შესახებ განცხადების დაწერა, პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, მან თავად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ელჩის თანამდებობა დაეტოვებინა. კოტე გაბაშვილი თბილისში იმყოფება, ჯერ მისი შემცვლელის ვინაობა უცნობია.

ასევე თებერვალში გასდის ვადა საქართველოს ელჩს ჩეხეთის რესპუბლიკაში ნინო ნაკაშიძეს. ნაკაშიძეც სამშობლოში იმყოფება და ასევე უცნობია, ვინ ჩაანაცვლებს მას ჩეხეთში.

ასევე ჯერ უცნობია, ვინ იქნება საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროკავშირში. როგორც „ქართული ოცნების" წარმომადგენლები აცხადებენ, სწორედ ევროკავშირში საქართველოს უკვე ყოფილი ელჩი სალომე სამადაშვილი იყო ერთ-ერთი, რომელიც ქვეყნის ინტერესების ნაცვლად ვიწროპარტიულ ინტერესებს ატარებდა ელჩის პოზიციიდან.

სალომე სამადაშვილს ლევან ბერძენიშვილმა ასევე გაუხსენა ის ფაქტი, როდესაც პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში იმყოფებოდა და აეროპორტში არ დახვდა ელჩი.

ხელისუფლებისთვის კიდევ ერთი ელჩი, რომელიც მიუღებელია, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს წარმომადგენელი თემურ იაკობაშვილია. ასევე გაურკვევლია, ვინ ჩაანაცვლებს ალექსანდრე ლომაიას გაეროში და ნატოში გეგა მგალობლიშვილს.

კულუარებში რამდენიმე გვარი უკვე დასახელდა. თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტროში ჯერ გვარებს არ ახმაურებენ და აცხადებენ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს.

## გია ნოდიას ინსტიტუტმა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების პროგრამებისთვის 800 000 ლარი მიიღო

„მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა" საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების პროგრამებისთვის 800 ათასი ლარი მიიღო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დღეს კავკასიური ინსტიტუტის ოფისში პრეს-კონფერენცია გაიმართება და ინსტიტუტის ხელმძღვანელობა



ჟურნალისტებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით თავის გეგმებს გააცნობს.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კონკურსი – „სამოქალაქო სექტორისა და თავისუფალი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" გამოაცხადა.

კონკურსში ერთ-ერთ გამარჯვებულად „მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი გამოცხადდა და მას საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების პროგრამებისთვის, 800 ათასი ლარი მიენიჭა.

ცნობისთვის, გია ნოდიას ინსტიტუტთან ერთად კონკურსში „ზაზა დარასელის სახელობის ჟურნალისტიკის განვითარების ფონდმა" გაიმარჯვა, რომელსაც ჟურნალისტი ნინო დარასელი ხელმძღვანელობს.

პირველი

## თეა წულუკიანმა და მაია ხასიამ შობა პატიმრებს მიულოცეს



საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი სასჯელაღსრულების ნომერ მე-12 დაწესებულებას ეწვია და შობის სადღესასწაულო წირვას პატიმრებთან ერთად დაესწრო. მსჯავრდებულებს შობის ბრწყინვალე დღესასწაული, თეა წულუკიანთან ერთად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაია ხასიამ მიულოცა.

წირვის დასრულების შემდეგ თეა წულუკიანმა პატიმრებს შობა მიულოცა და თავისუფლება უსურვა.

„ბედნიერი ვარ, რომ ამ დიდებულ დღესასწაულს თქვენთან ერთად ვზეიმობ. მოვედი აქ რათა გითხრათ – თქვენ არ ხართ მარტო! ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეთ ნორმალურ ცხოვრებას. სწორედ ამ მიზნით, იუსტიციის სამინისტრო იწყებს ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია – რეაბილიტაციის პროექტს. პროექტის ფარგლებში, მას შემდეგ, როცა თქვენ საპატიმროს დატოვებთ, ჩვენ შევეცდებით სხვადასხვა სახის დახმარება აღმოგიჩინოთ და ხელი შეგიწყოთ დასაქმებაში. ჩვენი სურვილია, თქვენ აღარასდროს აღარ დაბრუნდეთ საპატიმროში", – განაცხადა წულუკიანმა.

საშობაო ლიტურგიის დასრულების შემდეგ, თეა წულუკიანი პატიმრებს გაესაუბრა და რესოციალიზაცია – რეაბილიტაციის პროექტის შესახებ დაწვრილებით უამბო.

იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი ყოფილი მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესს იწყებს, რაც ამ ცენტრის საქმიანობაში სიახლე იქნება. ცენტრი წინასწარ დაგეგმავს საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციის პროცესს. პროექტის მიზანია, ყოფილი პატიმრის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ხელახალი მოხვედრის ალბათობის შემცირება. დანაშაულის პრევენცია კი საზოგადოებაში დაცულობის, უსაფრთხოების განცდის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

ნიუსპოსტი

## სოსო თოფურიძე სტამბოლში საპატრიარქოს ტაძარში ზიარების საიდუმლოს მისაღებად იმყოფებოდა

ინტერპოლის მიერ ძებნილი სოსო თოფურიძე სტამბოლში იმყოფება, ექსკლუზიურ კადრებს გაზეთი ,,პრაიმტაიმი" აქვეყნებს.

კადრები რომელიც ანონიმური პირისგან მიიღეს, ამტკიცებს რომ სოსო თოფურიძე თურქეთში იმყოფება. სტატიაში ნათქვამია, რომ დეკემბრის ბოლოს სტამბულში მსოფლიოს საპატრიარქოს შავი ფერი ,,იქს-5" მიადგა. ტაძარში მსოფლიო პატრიარქი წირავდა და მრევლი ზიარებისთვის ემზადებოდა, სოსო თოფურიძეც, როგორც თვითმხილველები ყვებიან, სწორედ ზიარების საიდუმლოს მისაღებად იმყოფებოდა ტაძარში. უცნობი წყარო აცხადებს, რომ სოსო თოფურიძის თანმხლებმა პირმა კადრების გადაღებისთვის წინააღმდეგობა გაუწია და აღნიშნა რომ მას არ სურდა გამოჩენა.

ნიუსპოსტი

## საკანონმდებლო ორგანოში, შესაძლოა, 17 იანვრიდან რიგგარეშე სხდომები ჩაინიშნოს

საკანონმდებლო ორგანოში შესაძლოა რიგგარეშე სხდომები ჩაინიშნოს, სესიები სავარაუდოდ 17 იანვრიდან განახლდება, მანამდე კი პარლამენტის თავმდჯდომარემ დავით უსუფაშილმა პრეზიდენტს რიგგარეშე სესიების გამართვის თხოვნით უნდა მიმართოს, სხომებზე კომიტეტების მიერ ინიცირებული კანონპროექტები და მეორე და მესამე მოსმენით კენჭსაყრელი საკითხები გავა.

ნიუსპოსტი

## ასლან სმირბა პატარკაციშვილის ოჯახისგან რესტორან ,,სანაპიროს" დაბრუნებას ითხოვს

ბათუმის ყოფილი მერი რესტორან ,,სანაპიროს" დაბრუნებას ან პატარკაციშვილის ოჯახისგან ფულად კომპენსაციას ითხოვს, ამასთან დაკავშირებით ასლან სმირბამ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა,

სმირბამ 2004 წლის ბოლოს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს გადაუფორმა რესტორანი, რაშიც მილიონი ლარი უნდა აეღო, თუმცა თანხა არ მიუღია. მისი განმარტებით, გარიგებაში მონაწილე პატარკაციშვილის წარმომადგენელ ოთარ დაბრუნდაშვილს და ბიზნესმენ ბესო კეიდიას საქმესთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებას მოსთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროკურატურას მიმართავს. ასლან სმირბას განცხადებით ოთარ დაბრუნდაშვილი მის სატელეფონო ზარებს არ პასუხობს.

სმირბა აბაშიძის პერიოდში ბათუმის მერი იყო, ის ასევე ხელმძღვანელობდა პორტს, იგი 2005 წელს სახელმწიფო ქონების გაფლანგვის ბრალდებით იყო დაკავებული.

რესტორან ,,სანაპიროსთან" დაკავშირებით პატარკაციშვილის ოჯახის იურისტები მოგვიანებით გააკეთებენ კომენტარს.

,,როდესაც 2004 წელს მიხეილ სააკაშვილი მოვიდა, ბადრი პატარკაციშვილმა მითხრა, რომ პრობლემა შემექმნებოდა რესტორნის ირგვლივ და ჯობდა გამესხვისებინა და ბესო კეიდიასთან შევთანხმდი, რომ მე პატარკაციშვილს მილიონ ლარად მივცემდი რესტორანს. მივეცი ეს რესტორანი და თანხა დღესაც არ ამიღია. ჯერ შევხვდები ოთარ დაბრუნდაშვილს, ბესო კეიდიას თუ კეიდია დამიდასტურებს, რომ მე თანხა არ მიმიღია, მოვითხოვ თანხას და რესტორნის გადმოფორმებას ჩემს სახელზე, თუ არ იზამს, მე ოფიციალურად შემაქვს პროკურატურაში ყველა საბუთი იმისა, რომ მე თანხა არ მიმიღია"– განაცხადა ასლან სმირბამ.

ნიუსპოსტი

## კობი-გუდაურის მონაკვეთზე დიდთოვლობის გამო მოძრაობა მთლიანად ჩაიკეტა

კობი-გუდაურის მონაკვეთზე დღეს დილიდან, დიდთოვლობის გამო მოძრაობა მთლიანად ჩაიკეტა. არსებობს ზვავსაშიშროების პრობლემა, რის გამოც ყველა სახის ავტოტრანსპორტისთვის მოძრაობა აკრძალულია. როგორც საგზაო დეპარტამეტნის თანამშრომლები ამბობენ, ჯერ-ჯერობით უცნობია როდის გაიხსენბა ამ მიმართულებით მოძრაობა, მათი თქმით, ეს დამოკიდებულია ამინდზე.

დიდთოვლობამ და ყინვამ პრობლემები შეუქმნა როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ავტოტრანსპორტს, რომელიც ძირითადად გადაადგილდებოდა როგორც ვლადიკავკაზის, ასევე ყაზბეგის და ლარსის მიმართულებით, მძღოლები აცხადებენ, რომ ისინი უკვე სამი დღეა აქ იმყოფებიან და დიდთოვლობის გამო გადაადგილებას ვერ ახერხებენ.

საგზაო დეპარტამნეტის ინფორმაციით, სტეფანწმინიდა-გუდაურის მიმართულებით მოძრაობა არის გახსნილი, ამ მიმართლებით ავტოტრანსპორტი მოძრაობს, მაგრამ გადაადგილება ძირითადად დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. აკრძალულია მთლიანად მოძრაობა მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისთვის. ადგილზე მობილიზებულია საგზაო დეპარტამენტის მთელი ტექნიკა, მიმდინარეობს როგორც გაწმენდით სამუშაოები, ასევე თოვლის საფარის სპციალური მარილით დამუშავება.

ნიუსპოსტი

## 9 იანვარს საქართველოს მასშტაბით მოთოვს

ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების სამმართველოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ხვალ დასავლეთ საქართველოში ნალექი შენარჩუნდება, აღმოსავლეთში კი ნალექია მოსალოდნელი, შესაძლოა, თოვლის სახით. 9 იანვარს კი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში თოვლია მოსალოდნელი. 10 იანვარს ცივი ამინდები და თოვლი შენარჩუნდება. 11 იანვრიდან კი შედარებით გამოიდარებს, თუმცა ყინვები კვლავ გაგრძელდება და ეს გამოდარებაც ხანმოკლე იქნება.

ნიუსპოსტი

## ბადრი ბიწაძის მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყდება

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის განცხადებით, ბადრი ბიწაძის მიმართ სამართლებლივი დევნა შეწყდება.



როგორც კობახიძემ პარლამენტთან შეკრებილ ჟურნალისტებს განუცხადა, ბადრი ბიწაძე პოლიტდევნილთა სიაშია, შესაბამისად, მას ქვეყანაში დაბრუნების ყოველგვარი უფლება აქვს. ამასთან, მანანა კობახიძე გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველოში მერვე საპყრობილის ყოფილი თანამშრომელი ლადო ბედუკაძე ბრუნდება.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის თქმით, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება სამშობლოში დაბრუნდეს და სამართლიანი მართლმსაჯულება მოითხოვოს.

„მე არ ვიცი ბედუკაძის წინააღმდეგ რა საქმეა წამოწყებული, შესაბამისად, ვერ გეტყვით მისი სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში სიტუაცია როგორ წარიმართება", – აღნიშნა კობახიძემ.

პირველი

# რატომ იქცევიან დევნილები არაადეკვატურად?

მერი ნამორაძე

**საზოგადოებას კარგად ახსოვს არჩევნების დღიდან დაწყებული დევნილთა შეჭრის შემთხვევები ამა თუ იმ დაწესებულებაში. ვითარება გამოუვალი და საბოტაჟის მსგავსი გახდა, თუმცა დიალოგსა და მოლაპარაკებებს რომ გამოსავლამდე მიყვანა ძალუძს, თვალსაჩინო მხოლოდ ახლა გახდა. დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებასთან დიალოგის დეფიციტზე საუბრობდნენ. ახალ ხელისუფლებასთან დევნილებმა საერთო ენა გამონახეს და მოხდა ისე, რომ დაპირისპირება ბაქოს პირველ ნომერში შეჭრილ დევნილებს შორის უმტკივნეულოდ მოგვარდა. სამინისტრომ დევნილები დაიყოლია და პოლიციის ძალის გამოყენების გარეშე იქნა დაცლილი ეს შენობა. ბაქოს ქუჩაზე დევნილების შეჭრა პირველი პრეცედენტი იყო არჩევნების დღეს, რასაც შემდეგ სხვა ობიექტების „ათვისება" მოჰყვა. თვითნებური შეჭრა 53 ობიექტზეა დაფიქსირებული. უკანონობის აღმოფხვრაც სწორედ ამ შენობიდან დაიწყო.**

დევნილი სამოქალაქო საზოგადოების კოალიციის ხელმძღვანელმა ლელა გულედანმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა:

— მთავრობამ გადაწყვიტა, უკანონობა აღმოეფხვრა პოლიციის ძალის გამოყენების გარეშე. ამას ისიც ემატებოდა, რომ ეს შენობა სხვა დევნილებისათვის იყო განკუთვნილი. სხვა დევნილები უნდა შეესახლებინათ და დაპირისპირებაც დევნილებს შორის გაჩნდა. ჩვენც ჩავერთეთ დიალოგში, სამინისტროც და თხოვნა იყო თუ ცალ-ცალკე მოლაპარაკება, თუ ქირის გაზრდის შეთავაზება, ყველაფერი ვცადეთ სამინისტროსთან ერთად. მართლაც, ქირით გაიყვანა ხელისუფლებამ 17 ოჯახი. ისინი იყვნენ არაშენდიდან, რომელთა მიმართაც ძველ მთავრობას ჰქონდა აღებული ვალდებულება და ახალი ხელისუფლებაც ვალდებული იყო, დახმარებოდა. ალტერნატიული ფართი შესთავაზეს მათ მოსკოვის გამზირზე, სადაც 2-3 თვეში რემონტი დამთავრდება და იქ გადაიყვანენ ამ 17 ოჯახს. სამწუხაროდ, დანარჩენებს ამ ეტაპზე არანაირი შეთავაზება არ მიუღიათ. სულ ორმოცამდე ოჯახი იყო შეჭრილი ბაქოს ქუჩაზე. იქ სულ 20 პროცენტია, ვისაც ნამდვილად გაჭირვება აქვს და ნამდვილად ეკუთვნის ფართი, მთელი ეს წლები ქირით იცხოვრა. იმ იმედით იყვნენ, რომ სახელმწიფო ამ ფართებს დაუტოვებდა საკუთრებაში.

გულედანის თქმით, წინა ხელისუფლების სტრატეგიას წარმოადგენდა ის, რომ 2010 წლისათვის უნდა მომხდარიყო კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების ფართებით დაკმაყოფილება, მაგრამ ეს არ განხორციელებულა. გულედანი ამბობს, რომ ეს დაპირებაც ტყუილი იყო და ტყუილი მოლოდინი გაუჩინეს დევნილებს. რეალურად, საამისო ფინანსური რესურსი სამინისტროს არ გააჩნდა. შიშის ფაქტორი კი დევნილებს არჩევნების შემდეგ გაუქრათ და ასეთი ნაბიჯები გადადგეს:

— ვამბობდით, რომ უნდა შეცვლილიყო სტრატეგია. ძველი ხელისუფლება აპირებდა კოლექტიური ცენტრების დახურვას ამ სტრატეგიით. არ უნდა არსებულიყო კოლექტიური ცენტრის სტატუსი. დასახური ობიექტების სიას ძველი მთავრობა არ ახმაურებდა. ვიცოდი, რომ თბილისში ბევრი ობიექტი უნდა დახურულიყო და რეგიონებში უნდა მომხდარიყო დევნილების გადაყვანა. სამინისტროსთვის პრიორიტეტი იყო ნგრევადი ობიექტი ან მესაკუთრე ვისაც ჰყავდა, რადგან შენობების გაყიდვა მზადდებოდა. პირდაპირ წერია სტრატეგიაში — ინვესტიციების მოსაზიდად უნდა მომხდარიყო შენობის მომზადება, ან პირველადი სახე უნდა დაბრუნებოდა საავადმყოფოს თუ ბაღის შენობას. ამ შემთხვევაში სტრატეგიაში პირდაპირ წერია, რომ სახელმწიფო ხელს შეუწყობს მესაკუთრეს, დევნილი გამოიყვანოს შენობიდან. ეს არ იციან დევნილებმა, ყველა ელოდება დაკანონებას. გვინდოდა, შეცვლილიყო ეს მიდგომები ახალი ხელისუფლების მიერ. ამასთან, სტრატეგიაში წერია, რომ ახალი მშენებლობები თბილისში არ იქნება. როცა შევხვდით ბატონ დარახველიძეს, დავსვი ეს საკითხი. პირველ რიგში, მივულოცე ის ფაქტი, რომ პოლიციის ჩარევის გარეშე მოხდა დევნილებისგან შენობის დატოვება და დევნილები ენდნენ მინისტრს. ენდნენ და იმედი აქვთ, რომ დანარჩენების დაკმაყოფილება დაიწყება. შევახსენე ძველი ხელისუფლების სტრატეგია და ვთხოვე, სიმართლე უთხრან დევნილებს. თუ თბილისში დასახურია ობიექტები, თბილისის შემოგარენში მაინც აშენდეს რაღაც დევნილთა დასაკმაყოფილებლად. ამაზე ბატონმა დავით დარახველიძემ მიპასუხა, რომ აპირებენ თბილისის შემოგარენში მშენებლობების დაწყებას, სადაც მოხდება ასეთი კატეგორიის დევნილთა შესახლება, — აღნიშნა გულედანმა.

კოალიცია აპირებს დააკვირდეს, როგორ შესრულდება ეს დაპირებები. ვითარების გაუმჯობესება, მათი თქმით, თვალშისაცემია. გულედანის თქმით, ადრე თუ დევნილები სამინისტროს პირველ-მეორე სართულს ვერ სცდებოდნენ, ახლა მინისტრთან, მის მოადგილეებთან თუ დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან შეხვედრა შესაძლებელია და ბევრი პრობლემა ადგილზევე გვარდება, ვისაც რეგიონში უნდა ჩასახლება.

— მინდა, დევნილებს მივულოცო შობა-ახალი წელი და ვუსურვო სურვილების შესრულება. ვაპირებთ, სხვა კუთხითაც გავაგრძელოთ მუშაობა. ვფიქრობ, სპეციალურად ხდებოდა ამდენი ხნის განმავლობაში დევნილების გაურკვევლობაში ყოფნა. გაურკვევლობა იწვევს შფოთსა და აგრესიას. დევნილები ფსიქიკურად უკვე არაადეკვატურები არიან. რომ ნახოთ, როგორ იქცევიან, ბენზინით თავის დაწვით როგორ იმუქრებიან, თავად ბატონმა დავითმაც ნახა, ერთ-ერთს, რომელიც ბაქოს ქუჩაზე შესასახლებლად გადმოდიოდა, არ მოეწონა ფართი და ფანჯრიდან ხტებოდა, ძლივს დავიჭირეთ. სამინისტროს წარმომადგენლებმაც მინისტრთან ერთად ნახეს, რომ ეს ხალხი არაადეკვატურია. დაგროვდა პროტესტი — ამათ ხომ არავინ უსმენდა, ადამიანად არავინ თვლიდა. მათი მოსმენა რომ დაიწყეს, ცოტა დაწყნარდნენ. ეს ყველაფერი გამოიწვია გაურკვევლობამ ამდენი წლის განმავლობაში. არც ბინა, არც დაბრუნების პერსპექტივა და ამან შფოთი წარმოქმნა. არ გვინდა, ეს გაგრძელდეს და დაბრუნებაზე უნდა ვიფიქროთ. უნდა ამოვიღოთ ხმა პირველ რიგში და ჩავერთოთ იმ პროცესში, რომელსაც დაბრუნების სტრატეგიის შექმნა ჰქვია. ჩვენ გვყავს იქ მეზობლები, ახლობლები, ნათესავები, ჩემი ახლობლები გადადიან საზღვარზე, გადმოდიან. ეს კონტაქტები არსებობს და ამაზეც უნდა ვიფიქროთ, — გვითხრა გულედანმა.

# ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებები არარეალური აღმოჩნდა

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პარტია "მომავალი საქართველოს" ლიდერ გიორგი ლაღიძესთან

***— ახალი ხელისუფლების მმართველობის სამთვიანი პერიოდის შემდეგ, როგორ აფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, რამდენად სწორად ხდება შიდაპოლიტიკური პროცესების წარმართვა?***

— არჩევნების შემდეგ გარკვეული პერიოდი ჩვენმა პარტიამ მორატორიუმი გამოაცხადა, ვინაიდან ჩვენ ვთვლიდით, რომ ხელისუფლებაში მოსული ძალისთვის უნდა მიგვეცა იმის საშუალება, რომ გამოევლინა თავისი შესაძლებლობები. მართალია დიდი დრო არ გასულა, მაგრამ სამი თვე საკმარისი დროა იმისათვის, რომ ხელისუფლებამ დასახოს საკუთარი პრიორიტეტები და ხალხს



დაანახონ სამომავლო გეგმები და მისი განხორციელების გზები. დღეს მიმაჩნია, რომ დადგა იმისი დრო, რომ გავუწიოთ ოპონირება ხელისუფლებას, ვინაიდან, მე ვთვლი, რომ ქვეყანაში ყველაფერი ისე არ არის, როგორც ეს უნდა იყოს. ჩვენი უკმაყოფილება განპირობებულია იქიდან, რომ ქართულ ოცნებას წინასაარჩევნოდ ჰქონდა საკმაოდ კარგი საარჩევნო პროგრამა, დაპირებები, რის საფუძველზეც მათ მიიღეს ამომრჩეველთა ხმების უდიდესი ნაწილი, თუმცა, დღეს აღმოჩნდა, რომ ამ დაპირებებიდან ძალიან ბევრი არ განხორციელდება. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ახალ ხელისუფლებას რეალურად შესწევს მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა. სამწუხაროდ, დღეს ეს არ ჩანს, თუ როგორ აპირებს ხელისუფლება დაპირებების განხორციელებას.

***— კონკრეტულად რა საკითხები გაქვთ მხედველობაში?***

— ძირითადად, რა ნიშნითაც საზოგადოებამ ხმა მისცა დღევანდელ ხელისუფლებას, ეს არის სოციალური საკითხების მოგვარება. ძირითადი დაპირებები იყო სწორედ ამაზე გათვლილი. ამ დაპირებების შესრულება ჯერ არ დაუწყია ახალ ხელისუფლებას და თუ გადავხედავთ 2013 წლის ბიუჯეტს, დავინახავთ, რომ ამ წელსაც ვერ მოხდება იმ დაპირებების შესრულება, რასაც კოალიცია ჰპირდებოდა ამომრჩევლებს.

***— ხელისუფლების საკადრო პოლიტიკას როგორ აფასებთ?***

— ყოფილი ხელისუფლება ძალიან ბევრს აკრიტიკებს ახალ ხელისუფლებას, რომ მოჰყავს შევარდნაძის დროინდელი კადრები. მიმაჩნია, რომ ადამიანების ასე დაყოფა არ შეიძლება და თუ ადამიანს აქვს სუფთა წარსული, შევარდნაძის ჩინოვნიკობა არ უნდა ნიშნავდეს რაღაც დამღას, ადამიანს უნდა შეეძლოს ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში იმუშაოს. ფაქტია, რომ საზოგადოებას არ უნდა დარჩეს იმისი განცდა, რომ ის ბრუნდება წარსულში, რომ ჩვენ გვაქვს პაემანი წარსულთან. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ პროფესიონალ კადრს ნებისმიერ დროს უნდა მიეცეს საკუთარი პროფესიონალიზმის გამოვლენის საშუალება. ძალიან მნიშვნელოვანია სამართლიანობის აღდგენის საკითხი. სამართლიანობის აღდგენა არ არის ხალხის დაჭერა, უნდა მოხდეს სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსის ჰუმანიზაცია. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ე.წ. გაბერილი სასჯელით იხდის სასჯელს ქართულ საპატიმროებში. საჭიროა რეალურად აღდგეს სამართლიანობა და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს იმის განცდა, რომ თუ მან მიმართა პოლიციას, პროკურატურას ან სასამართლოს, მისი უფლებები იქნება დაცული. მე კიდევ ერთხელ მივესალმები იმ ფაქტს, რომ თუ ქვეყანაში რეალურად აღდგება სამართლიანობა, ეს მხოლოდ და მხოლოდ არის მისასალმებელი. როდესაც ქვეყანაში არ ხდება განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების დისკრედიტაცია, ეს უკვე არის მიღწევა.

***— საყოველთაო ამნისტიაზე რა პოზიცია გაქვთ, საზოგადოების ნაწილი ამნისტიის ასეთ მასშტაბებს ეწინააღმდეგება.***

— ამნისტია, თავისთავად, ეს არის მისასალმებელი ფაქტი, როდესაც ხდება ადამიანების განთავისუფლება სასჯელისგან, მაგრამ მე გამოვალ ასევე საზოგადოების ერთი ნაწილის პოზიციიდან, რომელიც იმ მიზეზით არის შეშფოთებული, რომ ქვეყანაში გაიზრდება კრიმინალი და მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. რა თქმა უნდა, ამის საშიშროება რეალურად არსებობს, მაგრამ ვთვლი, რომ გამოსწორების და ნორმალური ცხოვრების ერთი შანსი ყველა ადამიანს უნდა მისცე. აქედან გამომდინარე, ამნისტიის აქტი დადებითად უნდა შეფასდეს. რაც შეეხება ე.წ. ჯაშუშების და პოლიტპატიმრების საკითხს, მე ვფიქრობ, რომ ეს არის ინდივიდუალური განხილვის საკითხი, ამიტომ ამ საკითხზე კომენტირებისაგან თავს შევიკავებ. საერთო ჯამში, ფაქტია, დღეს არის ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა, და ვფიქრობ, რომ მათ შორის უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარუმატებლობა გარდაუვალი იქნება.

***— საზოგადოების ერთი ნაწილი პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით გამოდის, თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— ჩვენს პარტიას მიაჩნია, რომ როგორც კონსტიტუციით არის გარანტირებული, საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს შემოდგომით და ვადაზე ადრე რაიმე სახის არჩევნების ჩატარება ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. აქედან გამომდინარე, ჩვენ მოგვწონს თუ არა, საქართველოს პრეზიდენტი შემოდგომამდე იქნება მიხეილ სააკაშვილი.

# ეკოლოგიური კატასტროფა გვემუქრება?

მერი ნამორაძე

**ემუქრება თუ არა საქართველოს ეკოლოგიური კატასტროფა ტყეების განადგურების გამო? თუ ტყის მასივების ჩეხა იმავე ტემპებით წარიმართება, როგორითაც – ბოლო წლებში, გამოსავალი უდავოდ სავალალო იქნება. „ახალ თაობასთან" საუბრისას ბიოლოგიური მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ილიას უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის გეობოტანიკის განყოფილების გამგე რევაზ ქვაჩაკიძემ ჯერ ტყის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, შემდეგ კი რთული მდგომარეობიდან გამოსავალი გზებიც გაგვანდო.**

ქვაჩაკიძის თქმით, საქართველო ტყეების გარეშე წარმოუდგენელია. ბუნებრივი ტყეები სამშენებლო ხე-ტყის, შეშის, ტყის ხილის, სამკურნალო და დეკორატიული მცენარეების, ქვეყნისათვის უაღრესად საჭირო ტყის სხვა პროდუქტების მიღების იაფი წყაროა. საზოგადოებას შევახსენებ, რომ საქართველოში გავრცელებულ ბუნებრივ ტყეებს ძალიან მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ფუნქციები გააჩნია, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი მრავალჯერ აღემატება ზემოაღნიშნულ, ეგრეთ წოდებულ ტყის წონად ფასეულობას. მთების კალთებზე შეფენილი ბუნებრივი ტყეები, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 2,5 მილიონი ჰექტარია, საიმედოდ იცავს კოლხეთისა და ივერიის ბარს ადიდებული მთის მდინარეთა წყლებით წალეკვისა და დამანგრეველი მეწყრისაგან. ამასთან, ამ ფართობებზე თავმოყრილია ქვეყნის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უდიდესი ნაწილი. მთების ტყიან ფერდობებზე დაბადებული დიდი თუ მცირე მდინარეები იაფი ელექტროენერგიის უწყვეტი წყაროა. მთის მდინარეები აწვდის მაცოცხლებელ წყალს ზაფხულში გამომშრალ მიწებს და მათზე გაშენებულ ბაღ-ვენახებს, ნათესებს. მთის ბუნებრივი ტყეები, ასევე ბარში ხელოვნურად გაშენებული ტყის ზოლები საქართველოს მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. მთის წიწვიანი და ფოთლოვანი ტყეების ჯანსაღი ჰაერი ადამიანთა დასვენებისა და მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებად არის მიჩნეული. მსოფლიოში განთქმული მინერალური წყლების დებეტიც მთის ტყეებზე დიდად არის დამოკიდებული.

— ჩვენ, უძველესი კულტურის ერის შვილებს, არ გვეკადრება ის დამოკიდებულება ქვეყნის ერთ-ერთი განძის — ბუნებრივი ტყეების მიმართ, რომელსაც ბოლო წლებში აქვს ადგილი. ამ დამოკიდებულებას ჩვენ, ასე თუ ისე, შევეგუეთ — მთის ტყეების უმოწყალოდ ჩეხვას მავანთა გამდიდრების მიზნით, ტყეების გასხვისებას, მათ ხანგრძლივვადიანი იჯარით გადაცემას უცხოელებზე, თანაც ჩვენი ქვეყნისათვის დამღუპველი ხელშეკრულებების საფუძველზე. შედეგად ქვეყანაში ტყეები მცირდება, უღრან ტყეებს ცვლის მეჩხერები, ბუჩქნარები, ეროზიული ფერდობები და ხევ-ხრამები, — აღნიშნა ქვაჩაკიძემ.

სპეციალისტები არ მალავენ, რომ ამგვარმა დამოკიდებულებამ ქვეყანა ლამის ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანა. გაუარესდა და ზოგან პრაქტიკულად სრულიად დაკარგა საქართველოს მთის ტყეებმა მისთვის დამახასიათებელი გარემოსდაცვითი როლი. ბუნებრივი, სტრუქტურადაურღვეველი ტყეები შემორჩენილია მხოლოდ ლაგოდეხის, ბორჯომის, შეზღუდული ოდენობით ზოგიერთ სხვა ნაკრძალსა და ეროვნულ პარკში. შესაბამისად, ქვეყანაში გახშირდა მთის მდინარეთა წყალმოვარდნები, მეწყრები, თოვლის ზვავები... სტიქიით მიყენებული ზარალი სახელმწიფოს ძვირი უჯდება.

როგორც პროფესორმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, შექმნილმა მდგომარეობამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს ტყეებზე განსაკუთრებული ზრუნვის აუცილებლობა — განადგურებული და დეგრადირებული ძირეული ტყეების აღდგენის, ტყეების გარემოსდაცვითი, მათ მიერ ბუნებრივი რესურსების აღწარმოების ფუნქციების აღდგენა-გაუმჯობესების, ქვეყანაში ტყეთსარგებლობის მოწესრიგების საკანონმდებლო ბაზის შექმნის საჭიროება.

მაინც როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის ტყეების დაცვა, მათი გარემოსდაცვითი ფუნქციის გაუმჯობესება და ტყეთსარგებლობის ოპტიმიზაცია? ქვაჩაკიძე მიიჩნევს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, რომლის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ტყეების გარემოსდაცვითი და რესურსდაცვითი ფუნქციების ამაღლებისა და ტყეთსარგებლობის ოპტიმიზაციის თანამედროვე ხედვების სრულად წარმოჩენა-ასახვა. აუცილებელია ტყეების ინვენტარიზაცია ტყეთმცოდნე მეცნიერებისა და სპეციალისტების ფართო მონაწილეობით, რათა დადგინდეს ტყეების რეალური მდგომარეობა. უნდა მოხდეს ძირეული ტყეების აღდგენა და მათი მდგრადი, ბუნებრივი განახლებისათვის საჭირო პირობების შექმნა; სოფლის ტყეების, მინდორსაცავი და ქარსაცავი ზოლების აღდგენა და ახლად გაშენება.

საძიებელია ბუნებრივი ტყეების პირდაპირი სარგებლობის მასშტაბების შემცირების გზები, რაც გულისხმობს რაციონალური, უწყვეტი ტყეთსარგებლობისთვის საჭირო სატყეო ინფრასტრუქტურის შექმნას — ტყის გზების, მოჭრილი ხის შეგროვებისა და მათი პირველადი გადამუშავების მოედნების გამოყოფას; აუცილებელია ხე-ტყის ჭრის ყოველწლიური მოცულობის განსაზღვრა მხოლოდ ტყის კორომების წლიური შემატების მიხედვით, ასევე ქვეყნის რეგიონების გაზიფიცირების, როგორც ტყის დაცვისა და აღდგენის საშუალების დაჩქარება.

# უძველესი ტაძრები გადარჩენილია

ეკა ირემაშვილი

**საქართველოში მდებარე უძველესი ტაძრები, რომლებიც წლების განმავლობაში შველას ითხოვდნენ და განადგურების პირას იყვნენ, აღდგენილი და გადარჩენილია. საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში წმიდა სამების საკათედრო ტაძარში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა – თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლისთავს.**

შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სამების ახალგაზრდულ ცენტრში გამოფენილია ბოლო 8 წლის მანძილზე საქართველოში ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სახელობის რესტავრირებული ტაძრების ფოტოები, დაღუპვას გადარჩენილი ძველი ფრესკული ღმრთისმშობლის გამოსახულებები საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან. გამოფენაზე ასევე წარმოდგენილია აბედათის, აკაურთას, ამაშუკეთის, ბარალეთის, თბილისის დიდუბის, დმანისის სიონის, ვანის, ზარზმის, ზუმბიანის, თირის, გელათის, კორცხელის, მანავის, მანგლისის სიონის, ნიკორწმინდის, ნეკრესის, გრემის, ვარძიის, ატენის სიონის, პირღებულის, ქორეთის, ტბისის, ტიმოთესუბნის, ფიტარეთის საფარას, ქციას, კვიპროსის ღალიას, ყარაჯაანთ საყდრის, ყინცვისის, ახალი და ძველი შუამთის, ჩხიკვთას სიონის, ხატისოფლის, ხაშმის, ტაბაკინის, ხოშათიანის, ჭულეს, უბისას, ლიხაურის, ვაყას, მოწამეთას, ხარაგაულის ვარძიის, ნაკურალეშის, ზეგანის წმიდა მარინეს, გრემისა და სხვა სიძველეები.

წარმოდგენილი სარესტავრაციო სამუშაოები განხორციელებულია ,,ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდისა“ და ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ დაფინანსებითა და თანამშრომლობით.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ამ სფეროში 2004-2012 წლების ისტორიული ანგარიში წარმოადგინა.

– 2004-2012 წლის სტრატეგიულად გათვლილით გეგმით, ნულოვანიდან, ყოველწლიურად მზარდი ბიუჯეტით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის მიზნით, რამდენიმე ასეული პროექტი განხორციელდა. 2004-2012 წლის ანგარიშის მასშტაბი და მნიშვნელობა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის უკანასკნელი წლების დამოკიდებულებას ყველაზე ცხადად გამოხატავს და უწყების ისტორიის ობიექტური ანალიზით უკეთ დასტურდება, – ნათქვამია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალურ განცხადებაში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საზოგადოებას ტრადიციული ანგარიში წელსაც ჩააბარა. საანგარიშო ღონისძიებაზე ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა საგანგებოდ მოწვეულ სტუმრებს წლების განმავლობაში ძეგლთა დაცვის განადგურებული სფეროს ჩამოყალიბებული სისტემისა და მრავლმხრივი მიმართულებით უკვე განხორციელებულ პროექტები თავად გააცნო.

– როგორც უკანასკნელი წლების პრიორიტეტული მონაპოვარი, საგულისხმოა, საზოგადოების ჩართულობა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში. დღესდღეობით ძეგლების დაცვისა და გადარჩენისთვის მოქალაქეების აქტივობა და ინტერესი საგანგებოდ მაღალია, ვიდრე ეს იყო 2004 წლამდე. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ქვეყნის ყველა მოქალაქეს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანს, ქართულ მედიას მადლობას უხდის, რომ კულტურული მემკვიდრეობის პროცესებში ჩაერთო, სამეცნიერო წრეები გაარღვია და სფეროს პრიორიტეტებზე საუბარი ერთგვარ მოდურ ტენდენციად გარდაქმნა. უკანასკნელ წლებში 600-ზე მეტ სიძველეს დაუბრუნდა პირვანდელი სახე. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ეპარქიებში აღდგენილია ყველაზე მძლავრი სამონასტრო კომპლექსები, ყველაზე რთულ მდგომარეობაში არსებული გზისპირა და სოფლის უძველესი ეკლესიები, ხეობებსა და ტყეებში მიტოვებული თუ მოქმედი სამლოცველოები. სამუშაოები განხორციელებულია ქვეყნის ბიუჯეტისა და ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის თანადაფინანსებით, – აცხადებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი.

საანგარიშო შეხვედრაზე გაიმართა სპეციალური გამოფენაც, სადაც წარმოდგენილია ამ დროისთვის აღდგენილი ძეგლების ამსახველი საინფორმაციო მასალა, საანგარიშო წიგნი, და ხარაჩო, როგორც ძეგლთა და დაცვისა გადარჩენის სიმბოლო. გამოფენაზე დაიგეგმა ჩვენება – ძეგლთა დაცვის სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების როლი – ლაზერული სკანირება, ენდოსკოპია და ის ახალი შესაძლებლობები, რომელიც სფეროს ახალ საფეხურზე გადასვლას გულისხმობს.

ღონისძიებაზე მიწვეული იყვნენ ქვეყნის ეპარქიებიდან სპეციალურად ჩამობრძანებული მეუფეები. სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლები, პროექტებში მონაწილე სპეციალისტები და მედიის წარმომადგენლები. ღონისძიებაზე დასწრება და კულტურული მემკვიდრეობის სფეროს 9 წლიანი ანგარიშის გაცნობა დაგეგმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარმა.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თემაზე საუბრისას ყოველთვის აქტუალურია ტაო-კლარჯეთში მდებარე ქართული ძეგლები. ახალი კულტურის მინისტრის მოსვლის შემდეგ, თურქეთთან მოლაპარაკებები კვლავ განახლდა. ცნობილი ხდება, რომ იშხნის, ოშკისა და ხანძთის ტაძრების აღდგენის შესახებ საქართველოს კულტურის სამინისტრო ახალ მოლაპარაკებებს დაიწყებს. როგორც მინისტრის მოადგილე მარინა მიზანდარი განმარტავს, გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ წინა ხელისუფლების მიერ თურქულ მხარესთან ტაძრების აღდგენის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება არ არსებობს და არსებობს მხოლოდ საპროექტო წინადადებები. ხელმოწერილი არ არის არც ერთი ხელშეკრულება, ყველაფერი მხოლოდ სახელშეკრულებო წინადადებების დონეზეა. მისივე თქმით, ეს ქმნის პრობლემას იმ კუთხით, რომ არანაირი იურიდიული ჩარჩო არ არსებობს. შესაბამისად, სამართლებრივი ფორმატი არ აქვს არც ერთ სიტყვიერ შეთანხმებას. ამიტომაც ახალი მინისტრი და მისი გუნდი თურქეთთან მოლაპარაკებებს ტაო-კლარჯეთში არსებულ ქართულ ძეგლებთან დაკავშირებით თავიდან დაიწყებს.

ახალ მოლაპარაკებებში თურქულ მხარესთან საუბარი იქნება სამი ტაძრის – ოშკის, იშხნისა და ხანძთის აღდგენის შესახებ. ქართული სამეცნიერო წრეებიდან არაოფიციალურ დონეზე იცის, რომ თურქეთის მხარეს კეთილი ნების გამოხატვის სურვილი აქვს და მათ სურთ, რომ ოშკის სამუშაოებში ქართველი კონსულტანტი ჩართონ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკა საქართველოში – ეს იყო თემა საერთაშორისო სამუშაო შეხვედრისა, რომელიც პროექტის „რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის“ ფარგლებში თბილისში სასტუმრო ციტადინესში მოეწყო. ეს იყო რიგით მესამე საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა (ვორკშოპი) აღმოჩნდა და მასში მონაწილეობდნენ მემკვიდრეობის დარგის სპეციალისტები აზერბაიჯანის, ნორვეგიის, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.

– ამ ღონისძიების მიზანია კოლეგებს შორის გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლა კულტურული მემკვიდრეობის მართვის გასაუმჯობესებლად. სამუშაო შეხვედრის ფოკუსია – საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის სექტორში შექმნილი რეალობა – ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით, აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის ეგიდით. ღონისძიების მხარდამჭერია ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატი. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. იგი ხორციელდება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის ფარგლებში, – აცხადებს საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენელი ლელი ნინოშვილი.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას ეხება, ეს არის ბაგრატის ტაძარი და მასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო და აღდგენითი სამუშაოები, რომელიც დღემდე განხილვისა და აზრთა სხვადასხვაობის საგანია. შუშის კონსტრუქციების არსებობა-არარსებობის საკითხი დღემდე კამათს იწვევს სპეციალისტებში. ცნობილი გახდა, რომ ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთი ფრთის გადახურვა იცვლება. სამუშაოები ტაძრის იმ ნაწილში მიმდინარეობს, სადაც შუშის შენობა და ასასვლელი კიბეა დამონტაჟებული. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დასრულებულ მშენებლობაში ცვლილებების შეტანა მთავარმა რესტავრატორმა ანდრია ბრუნომ გადაწყვიტა და რესტავრაციის პროცესში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. სამუშაოების მწარმოებელი ნიკოლოზ ჩხაიძეც აცხადებს, რომ ბაგრატის ტაძარზე სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება. მისი თქმით, ბაგრატზე სამუშაოები რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. პირველი ეტაპი უკვე ჩატარდა და ახლა მეორე ეტაპი ხორციელდება და არ არის გამორიცხული მომავალში, სამუშაო პროცესში კიდევ მოხდეს რაღაც ცვლილებები.

ყველაზე სასიამოვნო სიახლე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული განცხადებებიდან ის არის, რომ შეიქმნა საგანგებო კონსტრუქციული პროექტი, რომლის წყალობითაც ფუძნარის ღვთისმშობლის ტაძარს განადგურება აღარ ემუქრება. ტაძარი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა სპეციალისტებთან ერთად მოინახულა.

– ფუძნარის ღვთისმშობლის ტაძრის კონსტრუქციული გამაგრებისა და აღდგენის საგანგებოდ შექმნილმა ახალმა პროექტმა ძეგლი განადგურებისგან და გუმბათი ჩამოქცევისგან იხსნა. სპეციალისტებმა საქართველოში დანერგილი უახლესი ტექნოლოგიით ურთულესი საპროექტო და ფიზიკური სამუშაოები შეასრულეს. მიმდინარე ზამთარი ძეგლს საფრთხეს აღარ შეუქმნის, სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე ძეგლის სრული აღდგენისთვის მომავალ წელს გაგრძელდება და XIII საუკუნის ფუძნარს პირვანდელი სახე დაუბრუნდება. სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველ ეტაპზე ყველაზე რთული ფიზიკური სამუშაოები განხორციელდა. ტაძრისა და მისი ტერიტორიის სრულად გაწმენდის შემდეგ გაკეთდა სადრენაჟო სისტემა, გუმბათი – სრულად, ნაწილობრივ კარნიზები და ქვის გამოფიტული წყობა მოიხსნა, მოხდა მათი მარკირება და დასაწყობება. ტაძრის შიგნით და გარეთ პერიმეტრზე მოეწყო საძირკვლები, საძირკვლის ფილა ტაძარში მთლიანად განახლდა, აღდგა ჩრდილო-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯი, მოიჭიმა ჩრდილოეთისა და დასავლეთის გადახრილი კედლები და დაუბრუნდა პირვანდელი სახე-მდგომარეობა. ტაძარს მთლიანად შეუნარჩუნდა აუთენტური ნაწილები. უკვე ჩატარებული რეაბილიტაცია, როგორც ტაძრის გადარჩენის ასევე მომავალ წელს დაგეგმილი სამუშაოების საფუძველია, უკვე მომავალ 2013 წელს პროექტის მიხედვით დაგეგმილია ტაძრის სრული აღდგენა: მოხდება კამარების გადაყვანა, კედლის საპირე წყობის აღდგენა და გუმბათქვეშა თაღების შექმნა და რაც მთავარია ფუძნარის უძველესი გუმბათის საკუთარ ადგილზე დაბრუნება-დავანება. ფუძნარის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია XIII საუკუნის პირველ ნახევარშია აგებული. ის კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია და დუშეთის რეგიონში ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ გუმბათიან ტაძარს წარმოადგენს, – ნათქვამია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საგანგებო განცხადებაში.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

- ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

# სამყაროში თუ სადმე ფეხბურთის ღმერთი არსებობს, მისი სახელი ლიონელ მესია!

რაც უფრო ახლოვდება 7 იანვარი, ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესი ციურიხისკენაა მიმართული. ყველა იმის მოლოდინშია, გაიგოს ვინ გახდება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. „ოქროს ბურთისთვის" სამი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იბრძვის: არგენტინელი ლიონელ მესი, პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ და ესპანელი ანდრეს ინიესტა.

არგენტინელი ფეხბურთელი ამ ჯილდოს უკვე ზედიზედ სამი წელია ფლობს. გახდება თუ არა მეოთხედ „ოქროს ბურთის" მფლობელი, ეს ორიოდ დღეში გაირკვევა. ცნობილმა სპორტსმენებმა მესის შესახებ კომენტარი გააკეთეს.

როჯერ ფედერერი, ჩოგბურთელი:

– მესიმ დაგვიმტკიცა, რომ კარგ ადამიანებს ბევრის მიღწევა შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვცდილობთ უფრო მეტად დავტკბეთ ცხოვრებით.

ლუიშ ფიგუ, „ბარსელონასა" და „რეალის" ყოფილი ფეხბურთელი:

– მისი თამაშის ყურებისას ორგაზმს განიცდი.

ხერარდ პიკე, „ბარსელონას" მცველი:

– პატივს ვცემ კრიშტიანუ რონალდუს. მას აქვს უნარი უმაღლესად ითამაშოს ფეხბურთი და გამოავლინოს დიდი ოსტატობა. მასთან ერთად ვთამაშობდი „მანჩესტერ იუნაიტედში" და ვიცი რამდენი შეუძლია. ის საუკეთესო შეიძლება იყოს თანამემამულეებს შორის. მაგრამ მესი, უცხოპლანეტელია, რომელსაც ვერც ერთი მიწაზე მცხოვრები ვერ შეედრება. დღესდღეობით ლეო „ოქროს ბურთის" მფლობელია და კიდევ დიდხანს ვერ შეძლებს ვერავინ მისთვის ამ ტიტულის წართმევას.

ბიქსენტ ლიზარაზუ, საფრანგეთის ნაკრებისა და „ბაიერნის" ყოფილი მცველი:

– მესი ჩვეულებრივ ფორმაში სკოლის მოსწავლეს ჰგავს, მაგრამ როდესაც ის საფეხბურთო ფორმას ჩაიცვამს, მაშინ დანარჩენები ემსგავსებიან სკოლის მოსწავლეებს.

ჯონ ტერი, „ჩელსის" მცველი:

– ძალიან მიხარია, რომ ჩემი საფეხბურთო კარიერა ისეთი ფეხბურთელის ასპარეზობას დაემთხვა როგორიც მესია. ჩემი შვილები აღმერთებენ მას. მესი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესოა. ის ყველაფერს დებს მოედანზე.

არსენ ვენგერი, ლონდონის „არსენალის" მწვრთნელი:

– ფაქტიურად ჩვენ „ფლეისტეიშენის" მოთამაშეზე ვსაუბრობთ. ჩემთვის მესი წარმოადგენს იდეალს, არა მარტო ტექნიკური თვალსაზრისით, არამედ სულიერად. მუდმივად თამაშის სურვილი, მუდმივი მცდელობა გუნდის დახმარებისა. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რაც არ უნდა უხეში რეაქცია მოაყოლონ მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებმა მის წინააღმდეგ თამაშისას, მესი არასდროს უპასუხებს სამაგიეროდ. დააკვირდით ციფრებს და მის წინაშე დაიჩოქეთ.

სამუელ ეტოო, „ანჟის" ფორვარდი:

– სამყაროში თუ სადმე ფეხბურთის ღმერთი არსებობს, ჩემი აზრით, მისი სახელი ლიონელ მესია.

გუს ჰედინკი, „ანჟის" მწვრთნელი:

– მესი როგორც ბავშვი, ისე თამაშობს, რომელმაც დედას უთხრა: „წავალ, ბურთს გავაგორებ და როცა შებინდდება, დავბრუნდებიო". მას არც სავსე ტრიბუნები აღელვებს და არც სხვა გარემოპირობები. მას ბუნებისგან აქვს მინიჭებული ტალანტი, რომლის თამაშსაც სასწაულებრივს ხდის.

და მაინც, არსებობენ ადამიანები, რომლებიც აკრიტიკებენ მესის საფეხბურთო კარიერას.

რაიან გიგზი, „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი:

– მესი მაგარია, მაგრამ პელე და მარადონა უფრო მაგრები არიან მასზე. რატომ? იმიტომ, რომ ორივე ფეხბურთელს მსოფლიო ჩემპიონატი მოგებული აქვთ, მესის კი სანაკრებო დონეზე არც ერთი ტიტული არ მოუგია. ვფიქრობ, რომ მესის საუკეთესო მხოლოდ მას შემდეგ უნდა ეწოდოს, როდესაც შეძლებს მუნდიალის მოგებას.

პელე, მსოფლიო ფეხბურთის მეფე:

– მესი ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ საუკეთესო არ არის, რადგან საჰაერო ორთაბრძოლებისას ვერ თამაშობს სათანადოდ.

# ფილიპ ლამმა სირბილში ივარჯიშა

**ფილიპ ლამი ახალ წელს მიუნხენში, მეგობრებთან ერთად შეხვდა, 2 იანვარს კი გერმანიის ნაკრებისა და „ბაიერნის" კაპიტანმა თანაგუნდელებთან ერთად ყატარისკენ აიღო გეზი, რათა მეორე წრისთვის მოსამზადებელი ეტაპი გაიარონ.**

**ლამთან ინტერვიუ გერმანულ მედიაში გამოქვეყნდა.**

***– თავისუფალ დროს ფეხბურთის გარდა, ჩოგბურთს, ბილიარდსა და დარტსს თამაშობთ ხოლმე. ამ ზამთრის არდადეგებზე სპორტის რომელ სახეობაში გაუმჯობესდით?***

– სირბილში. ზამთარი მაგრად მიყვარს, მისი ნამდვილი ფანი ვარ და თოვლში დიდხანს სირბილმა უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. სიმართლე გითხრათ, ასე ადრე არ დავრბოდი და ახლა აღმოვაჩინე, რომ ეს შემიძლია და ძალიან გამიხარდა. თანაც, წონასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ მექმნება და შეკრებაზეც დამატებითი დატვირთვების ატანაც აღარ მომიწევს. გარდა ამისა, რამდენჯერმე მეგობრების წრეში ჩოგბურთიც ვითამაშე, სნუკერისთვის და დარტსისთვის ამჯერად ვერ მოვიცალე.

***– აბა, როგორ ფიქრობთ, რომელ ან რამდენ ტიტულს მოიპოვებს 2013 წელი?***

– სეზონის პირველი ნახევარი „ბაიერნმა" ძალიან მაგრად განვლო, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ასე გაგრძელებაა საჭირო და ტიტულები უნდა მოვიგოთ. არც ერთ ჩვენგანს არა აქვს იმაზე ფიქრის უფლება, რომ ჩვენ უკვე გერმანიის ჩემპიონები ვართ, რადგან ევროპულ ფეხბურთში ტიტულები მაისში რიგდება, მანამდე კი კონცენტრაციის შენარჩუნება გვმართებს.

***– ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ არაა გამორიცხული, „ბაიერნი" ჩემპიონი ისევ ვერ გახდეს?***

– ფაქტია, რომ ჯერ განაღდებული არ გვაქვს ჩემპიონობა და ბუნდესლიგის დასრულებამდე კიდევ 17 ტურია ჩასატარებელი. 17 ტური სეზონის ერთი ნახევარია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუმცა თუ ისევ ისეთ ტემპში ვითამაშეთ, „ვერცხლის სინის" დაბრუნებაში ხელს უკვე ველარავინ და ველარაფერი შეგვიშლის.

***– გერმანიის თასის მეოთხედფინალში „დორტმუნდთან" მოგიწევთ დაჯახება. თასზე ხელი გაქვთ ჩაქნეული?***

– ორი აზრი არ არსებობს: „დორტმუნდთან" ძალზე საინტერესო ბრძოლა გველის და კარგია, რომ საკუთარ მოედანზე ვითამაშებთ – ეს ჩვენთვის დამატებითი უპირატესობაა. რა თქმა უნდა, არავის გვეშინია და გამონაკლისი არც „ბორუსიაა" და ამიტომაც, ნახევარფინალისთვის ვიბრძოლებთ.

***– ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში კი „არსენალი" გერგოთ.***

– რასაკვირველია, „არსენალთანაც" ძალიან საინტერესო დუელი გვექნება. პირადად მე ამ გუნდის წინააღმდეგ არასდროს მითამაშია და კიდევ უფრო მაგარი მატჩები შედგება.



***– თითქმის ყველა თანხმდება იმაზე, რომ ამ წყვილში ფავორიტი „ბაიერნია". თქვენ რას გვეტყვით?***

– წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვიასპარეზეთ, ახლა ბუნდესლიგაში დიდი უპირატესობით ვართ წინ, „არსენალს" კი ჩემპიონატში საქმე მაინცდამაინც კარგად ვერ აქვს და ცხადია, რომ ამიტომაც მიგვიჩნევენ ფავორიტად. მე კი ამ მოსაზრებას ვეთანხმები: მაქსიმალური კონცენტრაციით უნდა ვითამაშოთ და მეოთხედფინალში უეჭველი გავალთ.

***– ლუკას პოდოლსკისგან მუქარით აღსავსე ტექსტურ შეტყობინებებს თუ ელით?***

– დარწმუნებული ვარ, მატჩის წინა და იმავე დღეს უამრავ შეტყობინებას მივიღებ. ისე კი, „არსენალში" პერ მერტეზაკერიც გამოდის და, საერთოდ, ვფიქრობ, რომ თანამემამულეების წინააღმდეგ საკლუბო დონეზე თამაში ძალიან საინტერესო გამოწვევაა ხოლმე.

***– 2013 წელს გერმანიის ნაკრებს პირველი მატჩი 6 თებერვალს ელის – ეს იქნება ამხანაგური შეხვედრა, რომელიც საფრანგეთში ჩატარდება, მერე კი მსოფლიოს საკვალიფიკაციო ეტაპი გაგრძელდება. წელს გერმანიას სერიოზული ტურნირი არ უწევს და იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გერმანელებს მოსაწყენად გვეცლება?***

– არა, არა. არ მგონია, რომ მოვიწყენთ. პირველ რიგში, რაც შეიძლება სწრაფად გვინდა, რომ ბრაზილია 2014-ის საგზური მოვიპოვოთ, მერე კი შესარჩევი ციკლის ბოლოს ექსპერიმენტებსაც ჩავატარებთ, რაც ყველასთვის საინტერესოა.

***– ამ დროისთვის გერმანიის ნაკრებში 95 შეხვედრა გაქვთ ჩატარებული და წელს, სავარაუდოდ, 100-საც მიაღწევთ. 100 მატჩი ბუნდესმანქანაში***

***– რას უნდა ნიშნავდეს ეს თქვენთვის?***

– გერმანიის ნაკრებში 100 მატჩი ბევრ შესანიშნავ და ლეგენდარულ ფეხბურთელს ვერ ჩაუტარებია და ეს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მიღწევა იქნება, თუმცა მე ფეხბურთს მატჩების რაოდენობისთვის კი არა, ტიტულებისთვის ვთამაშობ. შესაბამისად, ნაკრებში 100 ან მეტი მატჩის ჩატარებაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობაა.

***– კიდევ ერთი ციფრი, რომელსაც ვერსად გაექცევით, არის 30 და ეს, ალბათ, სულაც არ გახარებთ, არა?***

– ჰო, წელს 30 წლის გავხდები, მაგრამ ეს ოდნავადაც არ მადარდებს – დაბერება ყველას უწევს.

***– „ბაიერნთან" კონტრაქტი 2016 წლამდე გაქვთ გაფორმებული ან კიდევ გააგრძელეთ?***

– ჯერ რა მეჩქარება?! წინ კიდევ სამი ფანტასტიკური წელია. მაგ დროისთვის კი უკვე 33 წლის ვიქნები და აი, მერე ვნახოთ. სადღეისოდ, კონტრაქტსა და მომავალზე არ ვფიქრობ.

***– სამაგიეროდ, „ბაიერნის" მწვრთნელს აქვს ამაზე საფიქრალი. იუპ ჰაინკესს სეზონის ბოლოს ეწურება კონტრაქტის ვადა, ბოსობა კი ჯერ კიდევ დილემაშია – დატოვოს ჰაინკესი თუ ვინმე ახალი სპეციალისტი მოიყვანონ. თქვენთან ამგვარი კითხვა გვაქვს: როგორც კაპიტანი, რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ იმას, თუ როდის შეიტყობთ ახალი მწვრთნელის შესახებ?***

– ბოსობა და მწვრთნელი ამ დღეებში აუცილებლად მიუსხდებიან მოლაპარაკების მაგიდას და ყველაფერიც გაირკვევა, თუმცა მინდა გითხრათ, რომ ეს გუნდზე უარყოფითად არ იმოქმედებს. არც ერთი ფეხბურთელისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, რომ ვთქვათ, კიდევ 2-3 თვე იყოს მწვრთნელის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ. ყველა ვხედავთ, რომ ჰაინკესთან შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს – „ბაიერნი" ერთ მუშტად შეკრული გუნდია!

## ფეხბურთი

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სელტა-ვალიადოლიდი ........ 3:1
რეალი-სოსიედადი ........ 4:3
ბარსელონა-ესპანიოლი ........ 4:0
მალიორკა-ატლეტიკო ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 18 | 17 | 1 | 0 | 61:19 | 52 |
| 2.ატლეტიკო | 18 | 13 | 2 | 3 | 38:18 | 41 |
| 3.რეალი | 18 | 11 | 3 | 4 | 45:20 | 36 |
| 4.მალაგა | 18 | 9 | 4 | 5 | 28:13 | 31 |
| 5.ბეტისი | 18 | 10 | 1 | 7 | 28:29 | 31 |
| 6.ლევანტე | 18 | 9 | 3 | 6 | 24:25 | 30 |
| 7.ვალენსია | 18 | 8 | 3 | 7 | 25:27 | 27 |
| 8.სოსიედადი | 18 | 7 | 4 | 7 | 27:24 | 25 |
| 9.რაიო | 17 | 8 | 1 | 8 | 22:32 | 25 |
| 10.ხეტაფე | 17 | 7 | 3 | 7 | 21:25 | 24 |
| 11.ვალიადოლიდი | 18 | 6 | 4 | 8 | 24:24 | 22 |
| 12.სევილია | 18 | 6 | 4 | 8 | 23:26 | 22 |
| 13.სარაგოსა | 18 | 7 | 1 | 10 | 20:26 | 22 |
| 14.ბილბაო | 18 | 6 | 3 | 9 | 22:36 | 21 |
| 15.სელტა | 18 | 5 | 3 | 10 | 19:23 | 18 |
| 16.მალიორკა | 18 | 4 | 5 | 9 | 17:30 | 17 |
| 17.გრანადა | 18 | 4 | 4 | 10 | 14:27 | 16 |
| 18.ესპანიოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 19:30 | 15 |
| 19.დეპორტივო | 18 | 3 | 6 | 9 | 22:39 | 15 |
| 20.ოსასუნა | 18 | 3 | 5 | 10 | 14:20 | 14 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხირონა-ალმერია ........ 0:1
მურსია-ერკულესი ........ 2:1
ლუგო-გვადალახარა ........ 0:0
მირანდესი-კორდობა ........ 0:0
ნუმანსია-ლას პალმასი ........ 3:0
ელჩე-საბადელი ........ 3:2
ხერესი-უესკა ........ 1:1

### იტალია. სერია ა

უდინეზე-ინტერი ........ 3:0
ჯენოა-ბოლონია ........ 2:0
კიევო-ატალანტა ........ 1:0
მილანი-სიენა ........ 2:1
პარმა-პალერმო ........ 2:1
ფიორენტინა-პესკარა ........ 0:2
იუვენტუსი-სამპდორია ........ 1:2
ნაპოლი-რომა ........ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 19 | 14 | 2 | 3 | 40:13 | 44 |
| 2.ლაციო | 19 | 12 | 3 | 4 | 28:19 | 39 |
| 3.ფიორენტინა | 19 | 10 | 5 | 4 | 36:21 | 35 |
| 4.ინტერი | 19 | 11 | 2 | 6 | 30:22 | 35 |
| 5.ნაპოლი | 19 | 12 | 3 | 4 | 37:18 | 37 |
| 6.რომა | 19 | 10 | 2 | 7 | 43:33 | 32 |
| 7.მილანი | 19 | 9 | 3 | 7 | 36:27 | 30 |
| 8.პარმა | 19 | 8 | 5 | 6 | 27:25 | 29 |
| 9.უდინეზე | 19 | 6 | 9 | 4 | 29:26 | 27 |
| 10.კატანია | 19 | 7 | 5 | 7 | 26:27 | 26 |
| 11.კიევო | 19 | 7 | 3 | 9 | 21:29 | 24 |
| 12.ატალანტა | 19 | 7 | 3 | 9 | 18:28 | 22 |
| 13.ტორინო | 19 | 4 | 9 | 6 | 20:22 | 20 |
| 14.სამპდორია | 19 | 6 | 3 | 10 | 22:28 | 20 |
| 15.პესკარა | 19 | 6 | 2 | 11 | 17:35 | 20 |
| 16.ბოლონია | 19 | 5 | 3 | 11 | 21:26 | 18 |
| 17.ჯენოა | 19 | 4 | 5 | 10 | 20:30 | 17 |
| 18.კალიარი | 19 | 5 | 4 | 10 | 17:35 | 16 |
| 19.პალერმო | 19 | 3 | 6 | 10 | 16:29 | 15 |
| 20.სიენა | 19 | 4 | 5 | 10 | 17:28 | 11 |

# შედეგები

**შენიშვნა:**

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა*
*ნაპოლის დაკლებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

### პორტუგალია. ა ლიგა

მარიტიმუ-ბეიტა მარი ........ 1:1
ბრაგა-მორიერენსე ........ 1:0
ეშტორილი-ბენფიკა ........ 1:3

### საბერძნეთი. სუპერლიგა

არისი-პანიონიოსი ........ 2:1
ატრომიტოსი-კერკირა ........ 2:0
პანთრათიკოსი-პაოკი ........ 1:4
ოლიმპიაკოსი-ვერია ........ 3:0

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

ტორონტო-ოკლაჰომა ........ 92:104
მაიამი-ვაშინგტონი ........ 99:71
დეტროიტი-შარლოტი 101:108 . (ოტ)
ფინიქსი-მემფისი ........ 81:92
ლეიკერსი-დენვერი ........ 105:112

## ხელბურთი

### ამხანაგური მატჩები

ჩერნოგორია-ტუნისი ........ 28:30
ხორვატია-ნორვეგია ........ 37:36
რუსეთი-პორტუგალია ........ 26:29
სერბეთი-ეგვიპტე ........ 19:34
შვეიცარია-ბელარუსი ........ 23:23
ყატარი-ავსტრია ........ 32:28
სლოვაკეთი-უნგრეთი ........ 25:31
ჩეხეთი-პოლონეთი ........ 24:25
ესპანეთი-ბრაზილია ........ 31:22
ჩილე-იაპონია ........ 30:29
დანია-სლოვენია ........ 35:30

# „ზესტაფონი" შეიკრიბა

საქართველოს ჩემპიონი ზამთრის არდადეგებიდან გუშინ დაბრუნდა. „ზესტაფონი" მეორე ეტაპისთვის მზადებას კახა კაჭარავას ხელმძღვანელობით შეუდგება, რომელიც ზესტაფონელთათვის ყველაზე რთულ და გადამწყვეტ მომენტში მწვრთნელ-კონსულტანტის სტატუსით მივიდა კლუბში. იმერელთა რიგები უკვე დატოვეს ზურაბ მამალაძემ, ზურაბ მენთეშაშვილმა და მამუკა კობახიძემ, ეს უკანასკნელი „ალანიასთან" ექვსთვიან კონტრაქტს გააფორმებს.

7-დან 10 იანვრამდე „ზესტაფონის" ფეხბურთელებს სამედიცინო შემოწმება ექნებათ, მომზადების პირველ ეტაპს კი 29 იანვრამდე საქართველოში გაივლიან, შემდეგ თურქეთში გაემგზავრებიან, სადაც 13 თებერვლამდე დაჰყოფენ. იმერული გუნდი შეკრებაზე რამდენიმე სპარინგმატჩს გამართავს, მეტოქეთა ვინაობა ჯერ გარკვეული არ არის.

ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს „ზესტაფონი" ფეხბურთელების დამატებას გეგმავს. შესაძლოა იმერულ გუნდში „ზუგდიდის" ფორვარდი ირაკლი ქობალია და ორი თბილისის დინამოელი, ნიკა კვეკვესკირი და ლევან კაკუბავა ვიხილოთ. „ზესტაფონი" ასევე სერბი, ავსტრიელი და აფრიკელი მოთამაშეების გასინჯვას გეგმავს.

# საქართველომ ტურნირი მარცხით დაიწყო



საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა მალტის საერთაშორისო ტურნირზე პირველი მატჩი გამართა. „ჰიბერნიანსის" დარბაზში ჩვენები ბერძნებს დაუპირისპირდნენ. მატჩში ანგარიში ავთანდილ ასათიანის შეგირდებმა გახსნეს, კაკაბაძის დარტყმა ზუსტი გამოდგა. თუმცა ბერძნებმა მალევე შეძლეს წონასწორობის აღდგენა. პირველი ტაიმი ფრედ 1:1 დასრულდა.

შეხვედრის მეორე ნახევარში ქართველებმა შტურმი მოუწყვეს მეტოქეს. სახიფათო მომენტები ზედიზედ იქმნებოდა მეკარე ქრისტოს აჩის კართან. მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე, ბერძნები ორბურთიანი სხვაობით წინ გავიდნენ. ამის შემდეგ ნაკრებებმა ერთმანეთს თითო-თითო ბურთი გაუტანეს და მატჩიც ბერძნების გამარჯვებით დასრულდა – 4:2.

შეგახსენებთ რომ, ფუტსალის დელეგაცია 4 იანვრიდან მალტაზე იმყოფება. მომდევნო შეხვედრას საქართველოს ფუტსალის ნაკრები გუშინ მასპინძელ მალტასთან გამართავდნენ. 8 იანვარს ფეხბურთელები დაისვენებენ, 9-ში კი ინგლისელებს დაუპირისპირდებიან. ეროვნული ნაკრები თბილისში 11 იანვარს დაბრუნდება.

საქართველო: ჯამბურია, გაბუჩია, ალთუნაშვილი, ჯვარაშვილი, ასათიანი, ლუკავა, ჯაფარიძე, მაისაია, სებისკვერაძე, კაკაბაძე, ჭანუყვაძე, ბობოხიძე, კობაიძე, შელეგია

საბერძნეთი: აჩისი, თეოფილუ, ასიმაკოპულოსი, მოსტრიოსი, კუვარასი, პანოუ, არმაგოსი, დელაპორტასი, გკაიფილასი, პაპადოპულოსი, მანოსი, მურდუკუტასი, სიკარასი, ტრიანტისი.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მოვუაროთ ხელნაწერებს!

ეკა ირემაშვილი

**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ბუბა კუდავა და ცენტრის მეგობართა საზოგადოება გამოდის ინიციატივით, უახლოეს მომავალში ჩატარდეს საქველმოქმედო აუქციონი სახელწოდებით „მოვუაროთ ხელნაწერებს!".**



როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი იუწყება, ცენტრის მეგობართა საზოგადოება ცენტრის მხარდასაჭერად უახლოეს მომავალში გამართავს საქველმოქმედო აუქციონს, სადაც წარმოდგენილი იქნება შემდეგი კატეგორიები: მხატვრობა, მემორიალური ნივთები, ხელნაწერები, ფოტოგრაფია, ქანდაკება.

— აუქციონისთვის შემოწირულ ქართველ ხელოვანთა ნამუშევრებსა თუ ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა პირად ნივთებს ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრები შეიძენენ. დაიბეჭდება პროექტის ამსახველი კატალოგი, ღონისძიების მიმდინარეობა გაშუქდება ქართული საინფორმაციო საშუალებების მიერ. შემოსული თანხა კი მოხმარდება ხელნაწერთა რესტავრაციას, ხელნაწერთა დაცვის პირობების გაუმჯობესებას, კერძო კოლექციებში დაცული ხელნაწერების შეძენასა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციის პოპულარიზაციას, — ამბობენ ხელნაწერთა ცენტრში.

ჯერჯერობით აუქციონის თარიღი დაზუსტებული არ არის. სავარაუდოდ, ის უახლოეს დღეებში გაიმართება. მანამდე კი, 9 იანვარს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართება პროექტის პრეზენტაცია სახელწოდებით',„ქართული ხელნაწერი" (ონლაინ ენციკლოპედია). ღონისძიებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

— ეს პროექტი მომზადდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბაზაზე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით და ეფუძნება ათწლეულების მანძილზე ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შედეგებს. პროექტი ქართული ხელნაწერი კულტურის შესახებ ელექტრონული ენციკლოპედიის შექმნის პირველი მცდელობაა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ქართულ ხელნაწერ სამწიგნობრო ტრადიციასთან დაკავშირებული ელექტრონული ენციკლოპედია, სადაც განთავსებულია საცნობარო ხასიათის სტატიები თემატური (სასულიერო მწერლობა, საისტორიო მწერლობა, სამონასტრო და სამწიგნობრო კერები, საქართველოსა და საზღვარგარეთ დაცული კოლექციები, ხელნაწერის შექმნა და მხატვრული გაფორმება, საწერი მასალა, ქართველოლოგები...) ანბანური, ავტორთა საძიებლის მიხედვით, ასევე სტატიები, რომლებსაც ახლავს შესაბამისი პოლიგრაფია, საილუსტრაციო მასალა და ნაწილობრივ, ინგლისური თარგმანი; პორტალი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული ქართველი და უცხოელი მკვლევრისათვის და აქვს გაფართოებისა და შევსების პოტენციალი, — განმარტავს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი.

# საშობაო ალილო გამორჩეულად აღინიშნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბი. მეალილოეებმა გაიარეს რუსთაველის გამზირი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქუჩა და შეჩერდნენ რუსთაველის თეატრთან, პარლამენტის შენობასთან და საკრებულოსთან. მეალილოეებს ქვაშვეთის ტაძარი ზარების რეკვით მიეგება. რუსთაველის თეატრმა სპეციალურად ამ დღისთვის მიუსაფარი ბავშვებისა და მოხუცებისთვის ორიგინალური ურმით გამოიტანა საჩუქრები და მსვლელობის მონაწილეებს გადასცა. პარლამენტის ძველ შენობასთან ალილოს მონაწილეებს ელოდნენ მინისტრები, პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძე და უმრავლესობის წევრები. წელს ალილოში მონაწილეობის სურვილი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემაც გამოთქვა. ყველასთვის კარგად ცნობილმა „პიონერფილმმა", მისმა ხელმძღვანელმა გრიგოლ ჩიგოგიძემ და „პიონერფილმის" წევრებმა საშობაო სიმღერა შეასრულეს და ალილოს მსვლელობის მონაწილეებს შეუერთდნენ. საკრებულოს შენობის წინ კი მეალილოეებს საკრებულოს ხელმძღვანელი ზაალ სამადაშვილი და საკრებულოს თანამშრომლები შეეგებნენ. მთელი მსვლელობის განმავლობაში ალილოს დღესასწაულს უერთდებოდნენ რიგითი გამვლელები, რუსთაველის გამზირზე მდებარე მაღაზიებისა და ოფისების თანამშრომლები. სტიქარებში გამოწყობილი მახარობლები ყველას მისი უწმინდესობის საშობაო მისალოც ბარათებს ურიგებდნენ, თბილისის ცენტრალური გამზირის მოსახლეობა კი აივნებიდან და ფანჯრებიდან ადევნებდა თვალს ალილოს სადღესასწაულო მსვლელობას.

კონკასთან მონაწილეთა ჯგუფმა საპატრიარქოში გადაუხვია, სადაც მათ საქართველოს პატრიარქი შეხვდა, დალოცა და ტკბილეული გადასცა. მსვლელობა ბარათაშვილის ქუჩაზე გაგრძელდა, სადაც ერთმა ჯგუფმა პრეზიდენტის სასახლისკენ გადაინაცვლა. ალილოს მონაწილეებმა საქართველოს პრეზიდენტისგან საჩუქრებიც მიიღეს და საშობაო მილოცვაც. საბოლოოდ კი წლევანდელი ალილო სამების საკათედრო ტაძარში დასრულდა. ყოვლადწმინდა სამების ტაძარში მიტანილი შემოწირულობები უახლოეს დღეებში დახარისხდება, დანაწილდება და 9 იანვარს ბავშვთა სახლებსა და უმწეოთა თავშესაფრებში გადანაწილდება. ამ მიზნით თბილისის მერია ავტობუსებს გამოყოფს და ტკბილეულის ადგილზე მიტანას უზრუნველყოფს.

ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულის დადგომის შემდეგ, ალილოს მოწყობა უძველესი ქართული ტრადიციაა. თბილისის გარდა, მეალილოეებმა მთელი საქართველო მოიარეს და უმწეო მოხუცებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ტკბილეული შეაგროვეს. ალილო გაიმართა ფოთში, ზუგდიდში, ბათუმში, ქუთაისში, კახეთის ქალაქებსა და გორშიც.



საშობაო ალილო ერთ-ერთი უძველესი ტრადიციაა, ის სათავეს V-VI საუკუნიდან იღებს. ალილოობა გასული საუკუნის 90-იან წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ- აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ინიციატივით აღდგა. განახლებული ალილო 2000 წლიდან აღინიშნება. საქართველოში ალილოს ტრადიციას მრავალწლიანი ისტორია აქვს, რომელიც ისტორიაში მხოლოდ ერთხელ დაირღვა — საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. დღესდღეობით ალილოს ზეიმობენ სადღესასწაულო ლიტურგიის შემდეგ, როდესაც მრავალი ეკლესიის მრევლი უერთდება ალილოს მსვლელობას. მასზე დასწრება კი ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ალილო თბილისში ვარდების მოედნიდან თეატრალური მსვლელობით დაიწყო. წელს ალილო განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა — ურმებში შებმული ხარები, ბავშვები ანგელოზების ფორმაში, ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდები, სტიქაროსნები თეთრი ბაირაღებით და დროშებით, სამღვდელოება, სხვადასხვა ეკლესიის მრევლი, უზარმაზარი ქრისტეშობის ხატი, ჩოხოსნები, მწყემსები, ცხოველები და მოგვები, მათ შორის იყვნენ უცხოელებიც. მთელი მსვლელობისას მრევლი მგალობლებთან ერთად ქრისტეშობის საგალობელს გალობდა. სამების საპატრიარქო ტაძარში მეალილოეებს ზარების რეკვით შეეგებნენ და ტაძარში საზეიმო პარაკლისი აღევლინა.

დეკანოზი ბიძინა გუნია:

— ათასობით ადამიანმა გაიარა ეს გზა — ვარდების რევოლუციის მოედნიდან სამების ტაძრამდე, სადაც სამადლობელი პარაკლისი აღევლინა. გზადაგზა ჩვენ შევაგროვეთ საჩუქრები მიუსაფარი ბავშვებისა და მოხუცებისთვის. ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო, ღმერთმა დალოცოს ჩვენი ბავშვები, ყველას ვულოცავ მაცხოვრის შობას.

ილია მეორე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:

— ქრისტეს მოყვარენო ძმანო და დანო, კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ქრისტეს შობის დიად დღესასწაულს და გისურვებთ, რომ ღვთის სიტყვა — მაცხოვარი იშვას თქვენს გულშიც, რომ ის თქვენთან იყოს განუშორებლად და მარად გესმოდეთ მისი სანატრელი ხმა: „არა დაგიტიეო შენ. ნუ გეშინინ, რამეთუ შენ თანა ვარ, ნუ შესცთები, რამეთუ მე ვარ ღმერთი შენი, რომელმან განგაძლიერე შენ და შეგეწიე შენ და მოგიკრძალე შენ მარჯუენითა მართლითა ჩემითა". ყველას გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს. გლოცავთ თქვენ და მთელ საქართველოს. განსაკუთრებით მინდა, ქრისტეშობა მივულოცო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს. ღმერთმა ინებოს საქართველოს მთლიანობა და ბედნიერება. ჩვენთან არს ღმერთი!

მანანა კობახიძე, პარლამენტის ვიცესპიკერი:

— წლების განმავლობაში თბილისში ეგებებოდნენ მეალილოეებს პარლამენტარები, ამიტომ ჩვენც აქ მოვედით. ჩვენ პარლამენტის სახელით გავეცით საჩუქრები თბილისში, რადგან, მოგეხსენებათ, რომ წელს პარლამენტი ქუთაისში მუშაობს. ვფიქრობდით, ქუთაისში ხომ არ დაგვეგეგმა მსგავსი ღონისძიება, მაგრამ, რადგან, ტრადიციულად, მთავარი ალილო თბილისშია, თან მერია და საკრებულოც მონაწილეობს ამ ღონისძიებაში, ეს შენობა კი სიმბოლურად პარლამენტისაა, ისევ აქ მოსვლა გადავწყვიტეთ და საჩუქრებიც გავეცით. 7 იანვარი განსაკუთრებული თარიღია თითოეული ქართველისთვის, ყველა ზეიმობს და მეც სულითა და გულით გილოცავთ.

ზაალ სამადაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე:

— მინდა, მთელ საქართველოს მივულოცო შობის ბრწყინვალე დღესასწაული, განსაკუთრებით თბილისელებს, რადგან თბილისში ძალიან კეთილი ადამიანები ცხოვრობენ. დარწმუნებული ვარ, რომ ალილოზე შეგროვდება ძალიან ბევრი საჩუქარი და გადაეცემათ სწორედ იმათ, ვისთვისაც ეს ყველაზე მეტად საჭიროა.

ელენე კვირცხალია, რუსთაველის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:

— რუსთაველის თეატრის სახელით ყველას გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს. რადგან ალილო არის თეატრალიზებული, ამიტომ რუსთაველის თეატრმაც გადაწყვიტა, საჩუქრები თეატრალურად გადაეცა მსვლელობის მონაწილეებისთვის. ჩვენ გამოვიტანეთ ბატონი მირიან შველიძისა და მერაბ მერაბიშვილის მიერ შექმნილი ურემი, რომელიც გამოყენებულია ჩვენს სპექტაკლში „კაცია ადამიანი?!" და ამ ურმით მივართვით საჩუქრები მეალილოეებს მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა და მიუსაფარი მოხუცებისთვის.

# ისრაელი სირიის საზღვართან უსაფრთხოების ღობის აღმართვას აპირებს



ისრაელის პრემიერ-მინისტრის, ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებით, ისრაელი სირიის საზღვართან უსაფრთხოების ღობის აღმართვას აპირებს. ამის შესახებ „ალ-ჯაზირა" იუწყება.

ნეთანიაჰუს განცხადებით, სირიის არმიამ დატოვა საზღვრის კონკრეტული მონაკვეთი, თუმცა ის ახლა ტერორისტების ადგილსამყოფელად იქცა.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, გოლანის მაღლობებზე ისეთივე ღობე უნდა აიგოს, როგორიც ცოტა ხნის წინ ეგვიპტის საზღვარზე გაავლეს. ამ ღობის აგება ისრაელმა 2011 წელს დაიწყო და რამდენიმე კვირის წინ დაასრულა. ისრაელის მთავრობის განცხადებით, ეგვიპტის საზღვარზე 200 კმ-იანი ღობის აგებით, ისინი ქვეყანაში აფრიკელი მიგრანტების შემოსვლას შეაჩერებენ.

ისრაელმა გოლანის მაღლობებზე კონტროლი, რომელიც მანამდე სირიის პროვინცია კუნეიტრას შემადგენლობაში შედიოდა, 1967 წელს დააწესა. 1981 წელს ისრაელმა მისი ანექსია მოახდინა.

გოლანის მაღლობები დღემდე სადავო ტერიტორიად ითვლება ახლო აღმოსავლეთში. ექვსდღიანი ომის მსვლელობისას დაიკავა ისრაელმა. 1981 წელს ისრაელის ქნესეთმა მიიღო კანონი, რომლის საფუძველზეც გამოაცხადა თავისი სუვერენიტეტი ამ ტერიტორიაზე. თუმცა, გაეროს უშიშროების საბჭომ თავისი რეზოლუციით არ აღიარა ეს აქტი. როგორც ისრაელი, ისე სირია გოლანის მაღლობებს მიიჩნევენ თავიანთ ტერიტორიად.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სწრაფმავალი, მოტორიანი სპორტული ნავი; 2. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 3. წყალში გახსნილი საღებავებით შესრულებული ნახატი; 4. ძველებური ფირსაკრავი; 7. ლუდსახარში საქართველოში; 8. წელიწადის მეოთხედი; 12. თევზის საჭერი მოწყობილობა; 14. სივრცეში სხეულთა გადაადგილების კანონების შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 16. უცნაური სასაცილო ამბავი, შემთხვევა; 17. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 19. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 20. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი.

**თარაზულად:** 5. პატარა ქირურგიული დანა; 6. აგრესიის ინტენსიური გაფართოება, გაძლიერება; 9. მზის სისტემის პლანეტა; 10. ქვის დამაქუცმაცებელი მანქანა; 11. ამერიკელ ზანგთა სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 13. ნომრით აღნიშნული კომპოზიტორის მუსიკალური ნაწარმოები; 15. ზღვის ლამისებრი ცხოველი; 18. ქართველთა სახელწოდება მაჰმადიანებში; 21. ფარისეველი, პირფერი, ქლესა ადამიანი; 22. გუთნისდედისა და მეხრეების სიმღერა; 23. ტბა ჯავახეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ფაიფური; 3. ირბისი; 8. კიმონო; 9. სარი; 14. ახალი; 15. ლაქშმი; 17. ნალი; 20. კრისტი; 22. ლასტი; 23. ვარძია; 25. ასი; 26. ენდი; 27. კაპა; 28. ნატურანი.

**შვეულად:** 1. ფასი; 2. ინა; 3. ისტერიკა; 4. სუ; 5. მინიმალი; 6. პონი; 7. კომიქსი; 10. რახი; 11. ოფიციანტი; 12. მინარეთი; 13. ვალი; 16. პესეტა; 18. ესკადრა; 19. ავიეტი; 21. ტიარა; 24. იანკი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კია; 2. სუმატრა; 3. კონიაკი; 4. ხალტურა; 5. პილოტი; 6. ადამი; 7. პატრიოტი; 8. აპოხტი; 9. რე; 10. ანტალია; 11. იო; 12. რიგი; 13. გერმანიუმი; 14. ფაზენდა; 15. რალი; 16. ნო; 17. ტენგე; 18. ადმირალი; 19. აგუტი; 20. რა; 21. აფრა; 22. ასლი; 23. რააბე; 24. არარა; 25. სათნო; 26. მირანდა; 27. სეთური; 28. ინა; 29. თესლი; 30. თეთრი; 31. მისის; 32. მინა; 33. ტრიო.

**სურათებზე:** ჰოლი ჰანტერი; ჯორდან ჰენდერსონი.

# ბელფასტში შეტაკებები გრძელდება

ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტში უკვე მეოთხე დღეა გრძელდება შე-



ტაკებები პოლიციელებს და დემონსტრანტებს შორის.

უცხოური მედიის ინფორმაციით, შეტაკებების შედეგად 52 პოლიციელი დაშავდა, 70 დემონსტრანტი კი დაკავებულია.

ბელფასტში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ დაიწყო. საბჭოს ინიციატივით, უმჯობესი იქნებოდა, მერიის შენობიდან დიდი ბრიტანეთის დროშა „იუნიონ ჯეკი" ჩამოეხსნათ და ის მხოლოდ დღესასწაულებზე გამოეფინათ.

გამოსვლები დეკემბრიდან მოყოლებული გრძელდება, თუმცა ბოლო კვირის განმავლობაში ის პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებებში გადაიზარდა.

ჩრდილოეთი ირლანდია არის გაერთიანებული სამეფოს ნაწილი, ისტორიული პროვინცია. უკავია კუნძულ ირლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი. ადმინისტრაციულად იყოფა 26 ოლქად.

ფართობი – 14,2 ათასი კვ.კმ.

მოსახლეობა – 1,6 მლნ.

სარწმუნოება: პროტესტანტიზმი – 42,8%, კათოლიციზმი – 38,4%.

ყველაზე დასახლებული ქალაქი და დედაქალაქი – ბელფასტი.

მე-20 საუკუნემდე მისი ისტორია განუყოფლად იყო დაკავშირებული ირლანდიასთან. 1921 წლის ანგლო-ირლანდიური შეთანხმებით ჩრდილოეთი ირლანდია (იგივე ოლსტერი) ინკორპორირებულ იქნა დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში.

# კომპანია „გუგლმა" ჩრდილოეთ კორეაში ისტორიული ვიზიტი განახორციელა




კორპორაცია „გუგლი" თავისი განუზომელი გავლენის გაფართოებას განაგრძობს. ამჯერად, კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებას ჩრდილოეთ კორეაშიც მიხედოს. დღეს, ფხენიანში ნიუ-იორკის შტატის ყოფილი გუბერნატორი, ბილ რიჩარდსონი და „გუგლის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ერიკ შმიდტი ჩავიდნენ. ისინი აშშ-დან ჩინური კომპანიის თვითმფრინავით ჩაფრინდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ვიზიტის წინააღმდეგი იყო. ამის შესახებ ინფორმაცია „ასოშეითედ პრესი" ავრცელებს.

თუმცა, რიჩარდსონი ჩრდილოეთ კორეაში უკვე რეგულარულად მოგზაურობს და ამ ქვეყნის ლიდერებთან დაკავებული ამერიკელი მოქალაქეების გათავისუფლებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. ამჯერად კი, რიჩარდსონმა თან სმიტიც წაიყვანა იმ მოტივით, რომ „გუგლის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი დაინტერესებულია ამ ქვეყანაში სოციალური მედიის პრობლემებით. დაგეგმილია ვიზიტიები ჩრდილოეთ კორეის მაღალჩინოსნებთან.

„გუგლმა" და შმიდტმა ჩრდილოეთ კორეაში ვიზიტის შესახებ კომენტარი არ გააკეთეს. აღსანიშნავია, რომ ეს ვიზიტი პირველია ისტორიაში, რომელიც „გუგლმა" ამ ქვეყანაში განახორციელა. ჩრდილოეთ კორეაში ინტენეტი შეზღუდულია და იმ მომხმარებლებს, ვისაც ინტერნეტზე წვდომა აქვს, მხოლოდ ნაციონალურ, ლოკალურ ქსელზე მიუწვდება ხელი.

გუგლი დაარსდა 1996 წელს ლარი პეიჯისა და სერგეი ბრინის მიერ. დღეს გუგლი არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კომპიუტერული ძებნის სისტემა მთელ მსოფლიოში. გუგლის თავდაპირველი ვერსია ინგლისურენოვანი იყო. დღეს სისტემა ნათარგმნია თითქმის ყველა ენაზე (მათ შორის ქართულადაც). მისი შექმნა ენდი ბეჩტოლშეიმს 100.000 ამერიკული დოლარი დაუჯდა, შეიქმნა სან მაიკროსისტემსისის მიერ.

# სამგლოვიარო განცხადებები



პოლიტექნიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გიორგი პატურაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# უცხოური მედია ჟერარ დეპარდიეს წინააღმდეგ გამოდის



უცხოური მედია ცნობილი ფრანგი მსახიობის ჟერარ დეპარდიეს წინააღმდეგ ილაშქრებს.

როგორც გამოცემა „ლა ვანგუარდია" აღნიშნავს, „როდესაც რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მიხვდა, რომ მსახიობის შეშლილი საქციელიდან გარკვეული სარგებლის მიღება შეეძლო, მას სასწრაფო წესით რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭა".

სტატიის ავტორის შეფასებით, „რუსეთის მოქალაქეობის მიღებით დეპარდიე იმ რეჟიმის გარანტად იქცა, სადაც არასაკმარისი დემოკრატიაა და მათ, ვისაც გარკვეული უთანხმოება აქვს გაბატონებულ ძალებთან, სერიოზული პრობლემები ექმნებათ. დეპარდიე ასეთი დემოკრატიით აღტაცებას არ მალავს", – წერს „ინოპრესა".

გაზეთი „ელ პასისი" ფრანგ მსახიობთან დაკავშირებით უკანასკნელ მოვლენებს დაუფარავი სარკაზმით მოეკიდა. „უკვე რამდენიმე კვირაა, რაც დეპარდიე დამოუკიდებლად იღებს სათავგადასავლო ფილმს საგადასახადო ემიგრაციაზე. ჩანს, რომ დეპარდიეს ახალი სამშობლოს ლიდერებს აინტერესებთ არა ის, თუ რამდენი შეიძლება, გააძრონ მას გადასახადების სახით, არამედ ის, თუ როგორი ხმამაღალი პიარი შეიძლება, გაკეთდეს დეპარდიეს პირადი განცხადების ირგვლივ, რომ რუსეთი უდიდესი დემოკრატიაა", – წერს „ელ პაისი".

„მოსკოვს განზრახული აქვს, დეპარდიეს ჩამოსვლა იმისთვის გამოიყენოს, რომ რუსეთი წარმოაჩინოს არა ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნად, როგორადაც დასავლეთის მედია სახავს", – წერს „თაიმსი". სტატიის ავტორის შეფასებით, „პუტინს იმის ხაზგასმაც სურს, რომ რუსეთში საშემოსავლო გადასახადი მხოლოდ 13 პროცენტია".

„დეპარდიეს საქმით პუტინმა საფრანგეთი მსოფლიოს თვალში დასაცინი გახადა", – წერს ფრანგული „ფიგარო".

ამასთანავე, 8 იანვარს, სამშაბათს მსახიობს პარიზის სასამართლოში ელიან, – აღნიშნავს გამოცემა „ლეს ეჩოსი". საუბარია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაზე, რომელშიც მსახიობი 2012 წლის ნოემბრის ბოლოს, საკუთარი „სკუტერის" საჭესთან ჯდომისას მოყვა. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ დეპარდიეს სისხლში ალკოჰოლის ნებადართულზე მეტი დოზა. მსგავსი დარღვევისთვის საფრანგეთის კანონმდებლობა 4,5 ათასი ევროს ოდენობის ჯარიმას, ან თავისუფლების 2 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

ამ ფონზე, ჟერარ დეპარდიემ რუსეთის პრეზიდენტისგან მოქალაქეობის მიღების შემდეგ რუსეთში შემავალი რესპუბლიკის, მორდვეთის კულტურის მინისტრობაც შესთავაზეს. ეს რეგიონი ცნობილია იმით, რომ სტალინის მმართველობის პერიოდში აქ გულაგის ბანაკები იყო განლაგებული. დღეს კი, რესპუბლიკის ერთ-ერთ კოლონიაში „ფუსი რაიოთის" მონაწილე ნადეჟდა ტოლოკონიკოვა იხდის სასჯელს.

მინისტრის პოსტი დეპარდიეს მორდვეთის რესპუბლიკის მეთაურმა ვლადიმირ ვოლკოვმა მსახიობის სარანსკში სტუმრობისას შესთავაზა, სადაც მას ადგილობრივი მოსახლეობა ცეკვა-სიმღერით შეხვდა. ვოლკოვმა საპატიო სტუმრისთვის ბინის გამოყოფაც გადაწყვიტა.

როგორც მოგვიანებით „გოსფილმოფონდის" ხელმძღვანელმა და დეპარდიეს ახლო მეგობარმა ნიკოლაი ბოროდაჩევმა ბი-ბი-სის განუცხადა, ფრანგმა მსახიობმა მორდვეთის ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა შემოთავაზებისთვის, თუმცა აღნიშნა, რომ „ის მსოფლიოს კულტურის მინისტრია".

თავის მხრივ, სააგენტო „რია ნოვოსტი" მორდვეთის ხელისუფლებაზე დაყრდნობით იუწყება, რომ დეპარდიე შეთავაზებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებს, რაც რესპუბლიკის კულტურას საფუძვლიანად გაეცნობა.

ჟერარ დეპარდიემ ჯერ კიდევ დეკემბერში ფრანგულ გაზეთ „მონდთან" საუბრისას გაამხილა, რომ ვლადიმერ პუტინმა რუსეთის მოქალაქეობის პასპორტი გაუგზავნა.

მანამდე კი 64 წლის მსახიობს არაერთხელ გამოუთქვამს საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარის თქმისთვის მზადყოფნა. ამის მიზეზად დეპარდიე იმ პროტესტს ასახელებდა, რომელიც მაღალი გადასახადების დაწესებამ გამოიწვია.

თავის მხრივ, ვლადიმერ პუტინმა დეპარდიესთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება 20 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე გააჟღერა.

3 იანვარს დეპარდიე რუსეთის მოქალაქე გახდა, 4 იანვარს კი, რუსეთის „პირველმა არხმა" დეპარდიეს ღია წერილი გაავრცელა, რომელშიც მსახიობი „ახალ სამშობლოს" სიყვარულში უტყდება და მას „უდიდესი დემოკრატიის ქვეყანას" უწოდებს.

„მე ვაღმერთებ თქვენს ქვეყანას, რუსეთს, თქვენს ხალხს, ისტორიას და მწერლებს. ვაღმერთებ თქვენს კულტურას და აზროვნებას", – ნათქვამია წერილში.

მსახიობი აქვე აღნიშნავს, რომ მამამისი კომუნისტი იყო და მოსკოვის რადიოს უსმენდა.

ცნობილია, რომ თავის დროზე დეპარდიე საფრანგეთში სოციალისტების მმართველობას გადასახადის 75%-იანი ზრდის გამო აკრიტიკებდა, რომელიც მილიონ ევროზე მეტი შემოსავლის მქონე საფრანგეთის მოქალაქეებს უნდა შეხებოდა.

მოგვიანებით, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა მაღალი გადასახადების დაწესების გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, მსახიობმა თავის გეგმებზე უარი არ თქვა და საფრანგეთის საზღვართან მდებარე ბელგიურ სოფელ ნეშენში გადასახლდა, სადაც დეპარდიესთან ერთად მაღალი გადასახადების გადამხდელი სხვა ფრანგებიც დასახლდნენ.

# ადრიანო ჩელენტანო 75 წლის იუბილეს აღნიშნავს



ლეგენდარული იტალიელი მომღერალი და მსახიობი ადრიანო ჩელანტანო 75 წლის იუბილეს აღნიშნავს.

თავის დაბადების დღესთან დაკავშირებით, ჩელენტანომ გადაწყვიტა თავისი თაყვანისმცემლებისთვის სიურპრიზი მოემზადებინა და თავის ინტერნეტ-ბლოგზე აქამდე გამოუქვეყნებელი ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც ასახულია კინოსინჯი 1965 წელს გადაღებული ცნობილი რეჟისორის ჯუზეპე დე სანტისის ფიმლისთვის „ისინი მიდიოდნენ აღმოსავლეთით". მიუხედავად იმისა, რომ მსახიობმა სინჯები წარმატებით გაიარა, მას აღნიშნულ ფილმში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან არ სურდა თავის მეუღლესთან კლაუდია მორისთან დიდი ხნით განშორება. მასზე ჩელენტანომ 1964 წელს იქორწინა და ამ დრომდე ერთად, ბედნიერად ცხოვრობენ. მათ სამი შვილი ჰყავთ.

ჩელენტანო 1938 წლის 6 იანვარს მილანის ჩრდილოეთით დაიბადა. ბავშვობაში ის მუსიკით დაინტერესებული დიდად არ ყოფილა, ამაზე მეტად მას მესაათის პროფესია მოწონდა.

თუმცა, სამოყვარულო სპექტაკლ „ვოდევილში" თამაშის შემდეგ მან მაყურებლები მოხიბლა, რის შემდეგაც მისი კონკურსებზე მიწვევა დაიწყეს.

1950 წელს მან თავის პირველი შლაგერები შეასრულა. ჩელენტანომ 40 მეტი ალბომი ჩაწერა, რომელთა ტირაჟიც 150 მილიონ ეგზემპლარზე მეტს შეადგენს.

თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ჩელენტანო კინომატოგრაფითაც აქტიურად იყო დაკავებული.

კინოში მისი დებიუტი ფედერიკო ფელინის ფილმში „ტკბილი ცხოვრება" შედგა. საერთო ჯამში ის 40 მეტ ფილმშია გადაღებული.

ცნობილი ვარაუდის თანახმად, მომღერლის კარიერამდე ჩელენტანო ეცნობოდა სასცენო ცხოვრებას ევროპული როკის პიონერის, გიგო აგოსტის საზოგადოებაში.

ჩელენტანო ელვის პრესლისა და 1950-იანი წლების როკ-რევოლუციის გავლენის ქვეშაც მოექცა. 40 წლის მანძილზე იგი მშობლიურ ქვეყანაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, რასაც ასევე ხელს უწყობდა კომედიურ ფილმებში როლების განსახიერება. მაყურებელმა შეიყვარა მისი სახის გამომეტყველებები და ქცევები.

2005 წლიდან ადრიანო ვეტეგარიანულ ცხოვრებას მიჰყვება და იცავს ცხოველთა უფლებებს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**სამშაბათი 8 იანვარი**

**06.30** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** „ჩვენი დილა„ (პ/ე) **09.00**, **10.00**, **12.00**, **14.00**, **16.00**, **19.00**, **20.00**, **00.50** „მოამბე„ **10.30** „დილის საუბარი„ **11.00** „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) **12.45** „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) **15.00** საახალწლო კონცერტი **17.00** „საფარი„ **18.00** „პეპე და მეგობრები„ **19.05** ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ **21.00** ტ/სერ. „როსელა„ **22.00** „აქცენტები„ **23.00** მხ/ფ „დაჯავშნას არ საჭიროებს„ (კ.ზეტა-ჯონსი) **01.10** მხ/ფ „მის კონგენიალურობა„ (ტიტ.) (ს.ბალოკი) **03.10** ტ/სერ. „სპირალი„ **04.10** მხ/ფ „ბინგო ბონგო„ (ა. ჩელენტანო) **06.00** დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„

**08.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **12.00**, **15.00**, **17.00**, **20.00**, **23.00** „ბრიფინგის დრო„ **11.00** დ/ფ „სიცოცხლე„ 7 ნაწ. **14.00** დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ 8 ნაწ. **16.00** დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 4 ნაწ. **19.00** ტ/სერ. „ოჯახური გამოძიება„ 5 სერ. **22.00** „თავისუფალი ტრიბუნა„ **00.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ/ფ „პატარა ბავშვები„ (ტიტ.) (კ.უინსლეტი)

**08.00** ან.ფ. „სალადინი„ მე–11„ **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **09.15** ან.ფ. „სპანჯბობი„ მე–2„ 3 სერ. **10.00** სერ. „იღბლიანი მოახლე„ **11.30** სერ. „უკვდავი ამბავი„ **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. „გაქცევა – 3„ 4 სერ. **14.45** სერ. „24 – 4„ 2 სერ. **15.45** სერ. „დამალული სიმართლე„ 4 სერ. **17.40** სერ. „თილისმა„ 5 სერ. **18.50**, **19.05** სერ. „სახიფათო ვნება„ **21.00** სერ. „მარტოსული„ **22.00** ქ.სერ. „შუა ქალაქში„ **23.00** სერ. „ღვინის გზა„ 2 სერ. **00.00** ახალი ქართული ხმა (გ/ჩ) **02.00** მხ/ფ „ტალღებთან მოთამაშე„ (კ.რივზი) **04.00** მხ/ფ „ჩემი ძმაკაცის შეყვარებული„ (დ.კუკი) **05.45** მუსიკა

პროგრამაში შესაძლებელია ცვლილებები **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. „ქალის მსხვერპლი„ **11.00** სერ. „იდუმალი ქალი„ **12.00**, **15.00**, **18.00**, **20.00**, **21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** „შუა დღე„ **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. „ვნების უფსკრული„ **18.45** სერ. „მგზნებარე გული„ **19.50**, **20.05** სერ. „ღირსება და ამბიცია„ **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ (ს.2) **23.00** რა? სად? როდის? **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00**, **08.55**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05**, **09.00**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **06.35** მულტ/ფ „ჯუნგლის წიგნი„ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი„ **10.00**, **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05**, **12.10**, **18.55**, **21.55**, **00.25** ისტორიის დღიური **10.10**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.35**, **21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** ეთნოგრაფიული ჩანახატი **10.55** დოკ/ფ „ღალიის ღვთისმშობელი„ **12.05** ამინდი **12.15** მხ/ფ „ჭრიჭინა„ **13.40** კონცერტი - ქართული ხმები და ანს. „ბათუმი„ **14.55**, **16.55**, **18.50**, **21.25** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმარი **15.35** კონცერტი - თამარ ჭოხონელიძე (რ.ლაღიძე) **17.00** მოკ/ფ „სამოთხის გვრიტები„ **18.10** ტელეზღაპარი **18.25** მოკ/ფ „ბურთი და მოედანი„ **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ალილო **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დრო და ტრადიციები **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** კარაბადინი

მაესტრო **07.00**, **02.10**, **04.50**, **05.50** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.35**, **08.20**, **10.30**, **11.20**, **12.30**, **13.30**, **15.40**, **16.30**, **17.10**, **18.40**, **03.55**, **05.25**, **06.25** უცხოეთის ამბები **07.55**, **10.55**, **11.55**, **12.55**, **13.55**, **14.55**, **16.55**, **17.55**, **18.55**, **06.45** უკომენტაროდ, ამინდი **08.00**, **09.00**, **10.00**, **11.00**, **13.00**, **14.00**, **16.00**, **17.00** ახალი ამბები **08.30**, **09.15** შალვა რამიშვილის „დილა„ **11.30**, **22.00**, **01.50** „ყოველდღიური აბები„ **12.00** ახალი ამბები 12 საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები 3 საათზე **18.00** ახალი ამბები 6 საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05**, **00.25** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ **19.30**, **00.50** თოქ—შოუ - „კვირის არგუმენტები„ **21.00** ახალი ამბები 9 საათზე **22.20**, **02.45** თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


8 იანვარი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6566 | ევრო —2,1842 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870 | რუსული რუბლი — 5,3463 |

**ამინდის პროგნოზი 8 იანვრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით —2-5, ღამით — -5 -2.
დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 7-13, ღამით — 5-6.
სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 6-8, ღამით — -5 -7.




# ახალი წლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები




# მ ა ლ ე !

## „ახალ თაობასთან“ ერთად ილია II ოქროს ხანა

### სამტომეული

# მეტრეველმა საუკეთესო დებიუტი მოიწყო

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა, ნიკა მეტრეველმა იტალიურ „პაფონში“ მშვენიერი დებიუტი მოიწო. ნასიონალ „ა“-ს პირველივე მატჩში ქართველი ფორვარდი საუკეთესო მოთამაშე გახდა. მეტრეველს მხოლოდ 19 წუთი დასჭირდა, რომ მატჩის საუკეთესო შედეგი დაეფიქსირებინა. მისმა შედეგიანმა გარჯამ „პაფონი ომენას“ „ტრევილიო“ 71:40 დაამარცხებინა.

მეტრეველი სათადარიგო იყო და მოედანზე მთლიანობაში 19 წუთი გაატარა, თუმცა ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, ყველაზე შედეგიანი რომ გამხდარიყო. ნიკამ 6-დან 4 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი და 6-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. 13 ქულით მეტრეველი და 31 წუთს ნათამაშები პაფონელი სტეფანო მასკარდი მატჩის ბომბარდირები გახდნენ. ამასთან, ტრევილიოელ რიკარდო პერეჯოსთან ერთად მეტრეველმა მატჩში ყველაზე მეტი – 8 მოხსნა მიითვალა. 13 ქულასა და 8 მოხსნასთან ერთად 1 პასი და 1 დაფარებაც ჰქონდა. საერთო სარგებლიანობის კოეფიციენტი მეტრეველს მატჩში ყველაზე მეტი – 19 აღმოაჩნდა.




მეტრეველთან ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– გასულ წლებში სერია „ა“-სა და ლეგადუეში თამაშობდი და ახლა რანგით მესამე ლიგის გუნდში გადასვლას რატომ დათანხმდი?***

– მოგეხსენებათ, ჩემი გუნდი „ნაპოლი“ დაიშალა და აქამდე სხვა ვარიანტის მოძებნა გაძნელდა. საქმე ისაა, რომ რადგან „ნაპოლი“ გათამაშებიდან მოიხსნა, ლეგადუედან არც ერთი გუნდი აღარ ვარდება. შესაბამისად, რაკი გუნდებს გავარდნის საფრთხე აღარ ემუქრებათ, ახალი მოთამაშეებით გაძლიერებაზეც მოთხოვნა ნაკლები იყო. სულ რამდენიმე ნაპოლელმა მონახა ახალი გუნდი. იყო კიდევ ერთი ვარიანტი, რომ რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე მომეცადა და შემდეგ მეორე ლიგის გუნდები გაძლიერებას დაიწყებდნენ, მაგრამ ეს ვარიანტი რომ გამომიჩნდა, დავთანხმდი. ისედაც რამდენიმე თვე გამიცდა და ჩემთვის ახლა მთავარი იყო სადმე მეთამაშა.

***– ახალ კლუბთან კონტრაქტი უკვე გააფორმე?***

– პაფონელებთან ხელშეკრულება გავაფორმე. გუნდს 29 დეკემბერს შევუერთდი, 30-ში ტურის მატჩი ჰქონდათ, რის შემდეგაც საახალწლო დასვენება გვქონდა და ვარჯიშს რამდენიმე დღის წინ შევუდექი. საკმაოდ კარგი შემადგენლობა გვყავს, მეგობრული ატმოსფეროა და ვფიქრობ, ამ გუნდში თამაში არ გამიჭირდება. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, „ომენასთან“ კონტრაქტი რომ გავაფორმე.

***– ქართულ კლუბში თამაშის ვარიანტიც ხომ გქონდა?***

– მქონდა და „ომენას“ ვარიანტი რომ არ გამომჩენოდა, სავარაუდოდ, საქართველოს ჩემპიონატში ვითამაშებდი. თავდაპირველად „სოხუმს“ უნდოდა ჩემი დამატება, ბოლოს „ოლიმპის“ ვარიანტიც მქონდა.

***– რა ამბიციები აქვს „პაფონი ომენას“?***

– ამჟამად მე-9 ადგილზე იმყოფებიან. გუნდს ლეგადუეში გადასვლა უნდა და იმედი მაქვს, ამ მიზნის მიღწევაში დავეხმარები. ჩემს პოზიციაზე არცთუ ცუდი კალათბურთელები თამაშობენ, თუმცა, როგორც კლუბის ხელმძღვანელები ამბობენ, მოედანზე ყოფნა საკმაო ხნით მომიწევს.

***– სხვა პირობებით კმაყოფილი ხარ?***

– საკმაოდ კარგი პირობები მაქვს. პაფონი პატარა და მყუდრო ქალაქია, მილანთან ახლოს მდებარეობს. ქალაქში წყნარი ტბაა და სწორედ ამ ტბასთან გამომიყო კლუბმა სახლი. ახლა ჩემი საზრუნავი მხოლოდ ვარჯიში და შედეგიანი თამაშია.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# საშობაო ალილო გამორჩეულად აღინიშნა

ეკა ირემაშვილი

საშობაო ალილო წელს უკვე მეცამეტედ გაიმართა და ის გამორჩეულად აღინიშნა. წლევანდელი ალილო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა- თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის საიუბილეო თარიღებს – დაბადებიდან 80 წლის და აღსაყდრებიდან 35 წლისთავს მიეძღვნა.

წელს ალილოს მონაწილეები თბილისის ორი ადგილიდან – ვარდების რევოლუციის მოედნიდან და მეტრო „ისნის“ მიმდებარე ტერიტორიიდან დაიძრნენ და მსვლელობა სამების საკათედრო ტაძარ-



ში დაასრულეს. ისევე, როგორც წინა წლებშიც, წელსაც ალილო თეატრალიზებული იყო. მასში მონაწილეობდნენ მოგვები, მწყემსები, ანგელოზები, რომლებიც საშობაო საგალობლებს ასრულებდნენ და გზად შემხვედრებს ქრისტეშობას ახარებდნენ. მსვლელობაში მონაწილეობდნენ სასულიერო პირები, ჩოხოსნები, სხვადასხვა ეკლესიების მრევლი და სპეციალურად ამ დღისთვის რეგიონებიდან ჩამოსული მომლოცველები. ალილოში ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, ამ დღესასწაულში ასევე ჩართული იყო სოფელ მეტეხიდან ჩამოყვანილი კამეჩები ურმებით, რომლებიც მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა და მოხუცებულთა თავშესაფრების ბინადრებისთვის საჩუქრებს აგროვებდნენ.

მსვლელობის მონაწილეებს წინ მიუძღოდათ შობის ხატი და მთელი მსვლელობის განმავლობაში ისმოდა საგალობლები, საშობაო სიმღერები, სასულიერო პირები კი მრევლს ნაკურთხ წყალს აპკურებდნენ. ალილოს მსვლელობისას იკურთხა მთლიანად ქალაქი და აგროვდა შემოწირულობე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 8 იანვრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ტყუპები** — შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ, საკუთარ თავს ადვილად წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, მთლიანობაში ჰარმონიული დღეა. **ლომი** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას, თავი შეიკავეთ ექსცესებისაგან. **სასწორი** — ეს დღე ცოდნის გაღრმავებას დაუთმეთ, თქვენვე გამოგადგებათ. **ღრიანკალი** — ცხოვრება გეცვლებათ, ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. **მშვილდოსანი** — ნუ აჩქარდებით, მთავარია, საქმე ბოლომდე მიიყვანოთ. **თხის რქა** — თქვენი ოპონენტები გააქტიურდებიან, პასუხი მოამზადეთ. **მერწყული** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, შეიძლება ახალი ბიზნესიც წამოიწყოთ. **თევზები** — გადაამოწმეთ ინფორმაცია, ყველას ნუ ენდობით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ვაზის ნასხლავი; 2. სამწვადედ მომზადებული ხორცის ნაჭრები; 3. საწვრთნელი ბრძოლა კრივში; 4. ქალის უთითო ხელთათმანი; 6. აეროპორტი მადრიდში; 8. თვითმფრინავების, გემის აცდენა კურსიდან ქარის ან წყლის დინების გავლენით; 11. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 12. ყმაწვილის ხმის შეცვლა, დაბოხება ასაკში შესვლის გამო; 16. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი, ავი სული; 17. ტროპიკული ხილი; 18. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში.

**თარაზულად:** 1. მონასტერი ქსნის ხეობაში; 5. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 7. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 9. პრივილეგიური, მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 10. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 13. სამხაზველო ხელსაწყო; 14. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 15. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 19. აჭარული ორსართულიანი ხის სახლი; 20. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ძუნწი ადამიანის მეტსახელი საფრანგეთში; 22. ქიმიური ელემენტი, ძალზე მტკიცე ლითონი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




ლურჯი წითელი ყვითელი შავი